თავისუფალი გაზეთი „პოსტსკრიპტუმი“
P.S.
„ჩემო კალამო, ჩემო კარგო, რად გვინდა ტაში!“

მეგა კრედიტი
Mega Credit
ქუთაისი, რუსთაველის 141 („პოპულში“); (0 431) 27 52 45
ქუთაისი, ჭავჭავაძის 55/2 („მაკდონალდსთან“); (0 431) 27 67 10

სახალხო დამცველი:

„ჰომოფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღე საქართველოში ჰომოფობიის გამოვლენის დღე გახდა“

იხილეთ მე-2 გვერდზე

№ 16 (666) 20 - 26 მაისი, 2013 | გამოდის 1995 წლიდან | ფასი: 70 თეთრი | www.psnews.ge

გაზეთ „P.S.“-ის რედაქციაში PRESS-კლუბი გაიხსნა!

კლუბის პირველი სტუმრები — „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ წარმომადგენლები

გაზეთმა „P.S.“-მა დაიწყო ახალი პროექტი სახელწოდებით „ინტერნეტკონტენტის www.psnews.ge-ს განვითარება“.

პროექტის ფარგლებში, გაზეთის რედაქციაში გაიხსნა სადისკუსიო press-კლუბი, სადაც საზოგადოებისთვის აქტუალურ საკითხებზე სასაუბროდ პერიოდულად მოწვეული იქნებიან პოლიტიკოსები, საჯარო მოხელეები. press-კლუბი საშუალებას მისცემს მასმედიის წარმომადგენლებს, მათთვის საინტერესო შეკითხვები დაუსვან კლუბში მოწვეულ რეს-პონდენტებს. სურვილის შემთხვევაში „P.S.“-ის press-კლუბი დაეთმობა არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებსაც.

17 მაისს press-კლუბის პირველი სტუმრები იყვნენ „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ იმერეთის ორგანიზაციის ხელმძღვანელი გოჩა თევდორაძე და ქუთაისის საკრებულოში ამავე სახელწოდების ფრაქციის დეპუტატები — კახა ნემსიწვერიძე და ტარიელ მესხი. ახლადშექმნილი პარტიის მიმართ საზოგადოების მაღალი ინტერესის გათვალისწინებით, გაზეთმა „P.S.“-მა ადგილობრივი მედიის წარმომადგენლებს საშუალება მისცა, ალიანსის ლიდერისა და მისი წევრებისთვის შეკითხვები დაესვათ.

ჟურნალისტებთან საათნახევრიან შეხვედრაზე განსაკუთრებული ინტერესი გამოიკვეთა თავად პარტიის ერთ-ერთი ლიდერის, გოჩა თევდორაძის მიმართ.

გაგრძელება მე-2 გვერდზე

მიტოვებული შენობების საგა



„P.S.ფოტო“ (ნესტან ჩაგელიშვილი) ©

სახლი წითელ ხიდთან (გალაკტიონ ტაბიძის N2)

„P.S.ფოტო“ (ნესტან ჩაგელიშვილი) ©

ყოფილი N2 კულტურის სახლის შენობა (ფალიაშვილის ქუჩა)

„P.S.ფოტო“ (ნესტან ჩაგელიშვილი) ©

ახალგაზრდული თეატრის შენობა (ბრიშაშვილის ქუჩა)

„P.S.ფოტო“ (ნესტან ჩაგელიშვილი) ©

საბრენაჟოს ქარხანა (თამარ მეფის N9)

რატომ იკარგება ქალაქისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის ტერიტორიები?

იხილეთ მე-4 გვერდზე

ვის უთხრიან ძირს ყოფილი „ნაციონალები“?

„პატრიოტთა ალიანსის“ გაურკვეველი პოლიტიკური ორიენტაცია

იხილეთ მე-3 გვერდზე

ვირთხებთან გაყოფილი „საყარაულო“

ქუთაისის მერიამ საბინაო ფონდისათვის შენობების აღწერა დაიწყო

იხილეთ მე-5 გვერდზე

ჰოროსკოპი — 8.

სკანვორდი — 8.

დეფლაციიდან გამოსავალი: მთავრობამ უნდა დახარჯოს ბევრი ფული

იხილეთ მე-4 გვერდზე

ქუთაისელმა დეპუტატმა საკუთარი ამომრჩევლის პრობლემები არ იცის

იხილეთ მე-5 გვერდზე

გაიხსენებს თუ არა საჩხერელი მილიარდერი ციხის რეკონსტრუქციის ძველ ჩანაფიქრს?

იხილეთ მე-7 გვერდზე

სადაც მანგანუმის რეწვა მიმდინარეობს, წყალი და ჰაერი მოწამლულია...

იხილეთ მე-6 გვერდზე

ქიმერიონი
qimerioni.ge
წიგნების მაღაზია
მისამართი: ქუთაისი, „პოპული“; ტელ.: 790 927 927.

წიგნები
შენ გელოდება!
ქუთაისი, სავაჭრო ცენტრი „პოპული“, წიგნების მაღაზია „ქიმერიონი“. ტელ.: (790) 927 927.

PS news.ge
ISSN 1987-7056

მერობის კანდიდატთა 12 რჩეული

ქუთაისის მერობის მსურველთა 69 განაცხადიდან კომისიამ 12 კანდიდატი დატოვა.

ამის შესახებ 17 მაისს გამართულ სხდომაზე კომისიის თავმჯდომარემ, თამაზ მარგველაშვილმა განაცხადა. ქუთაისის მერობის მსურველთა უმრავლესობას შესარჩევ კონკურსზე ცნობა ნარკოლოგიური შემოწმების და ნასამართლეობის შესახებ არ წარმოუდგენია, რის გამოც, აღნიშნული მერობის კანდიდატები კონკურსიდან მოიხსნენ.

მერობის 12 კანდიდატი, რომელთაც სრულყოფილი დოკუმენტაცია აღმოაჩნდათ და კონკურსში დარჩნენ, არიან: **ბაკურ ბალანჩივაძე, ლიანა გვენეტაძე-ვაშაკიძე, ხატია ვედმედევა, ავთანდილ კაჭახიძე, სევარიონ კინწურაშვილი, როსტომ ერგემლიძე, დიმიტრი კოპალიანი, შერმადინ მიქელთაძე, ნუგზარ უგულავა, ზვიად შანიძე, იოსებ ხახალეიშვილი, ალექსანდრე ჯიქია.**

შეგახსენებთ, საკრებულოს დეპუტატებითა და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებით დაკომპლექტებული კომისია შვიდი წევრისაგან შედგება. თუმცა 17 მაისის სხდომაზე არ იმყოფებოდა საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე მამუკა მღვდელაძე, რომელიც, ამავე დროს, კომისიის თავმჯდომარის მოადგილეცაა. კომისიის წევრის, ზურაბ ხურციძის თქმით, მღვდელაძე უკრაინაში იმყოფება საქმიანი ვიზიტით.

ქეთევან ლებანიძე

psnews.ge

მთავარი რედაქტორი: ნატო გუბელაძე

რედაქტორი: ნანული ცხვედიანი

დიზაინი: ირმა ბახუტაშვილი

ოპერატორი და კორექტორი: ლალი კუპრაშვილი

რეკლამის მენეჯერი: ლელა თოლორდავა

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
არ გამოხატავს არცერთი პოლიტიკური პარტიის ინტერესებს. ავტორთა მოსაზრება შეიძლება, არ ემთხვეოდეს რედაქციისას.

® — ნიშნით აღნიშნულია სტატია, რომელიც განთავსებულია სარეკლამო ფართზე

გამომცემელი — შპს „P.S.“ („პოსტსკრიპტუმი“).
ქუთაისის სასამართლოს რეგისტრაცია №5/ბ-1401

გაზეთ „P.S.“-ის კლასიფიკაციის კოდი:
UDC (უაკ) 3+32] (479.22) (054)
ბ - 658
P - 86

მისამართი: ქუთაისი. რუსთაველის გამზირი №37°. პრესის სახლი.

- (032) 2 422 470, (0 431) 24-45-46.
- psnews27@gmail.ge
- www.psnews.ge

გაზეთ „P.S.“-ის რედაქციაში PRESS-კლუბი გაიხსნა!

კლუბის პირველი სტუმრები — „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ წარმომადგენლები

პირველი გვერდიდან

შეკითხვები შეეხებოდა ალიანსის პოლიტიკურ ორიენტაციას, პარტიის ლიდერის, დავით თარხანმოურავის სკანდალურ განცხადებას — ქუთაისის მერის პოსტზე პრემიერ-მინისტრის ბიძინა ივანიშვილის კადრის უპირობო მხარდაჭერის შესახებ, გოჩა თევდორაძის მისამართით ბოლო დროს გაჟღერებულ ბრალდებებს — ქალაქის ბიზნესსექტორში მის მიერ უკანონო წილების ფლობასთან დაკავშირებით.

შეხვედრაზე ბევრი შეკითხვა დაისვა მერის ასარჩევი კომისიის მუშაობის შესახებ. ჟურნალისტებს აინტერესებდათ, ჰყავს თუ არა ფავორიტი კანდიდატი „საქართველოს პატრიოტთა ალიანსს“ ქუთაისის მერის პოსტზე გამოცხადებულ კონკურსში და შეძლებს თუ არა კომისია, იმუშაოს გამჭვირვალედ იმ პირობებში, როცა კომისიის ორი წევრი, ამავე დროს, ალიანსის წარმომადგენელია. ჟურნალისტებთან საუბრისას ერთ-ერთ მთავარ საკითხად ასევე გამოიკვეთა ალიანსის პოლიტიკური გეგმები კოალიციასთან დაკავშირებით.

გთავაზობთ რამდენიმე შეკითხვას, რომლებზეც მოწვეულმა სტუმრებმა განმარტებები გააკეთეს:

— არის თუ არა „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ ოპოზიციური ძალა და რომელ პოლიტიკურ გუნდს უწევთ ოპონირებას?

— ალიანსი მხარს უჭერს საქართველოს პრემიერ-მინისტრს ყველა კარგ საქმეში, და არ ვაპირებთ ბრძოლას ახალი ხელისუფლების წინააღმდეგ. თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ არ ვართ ოპოზიცია. „პატრიოტთა ალიანსი“ ყველა ძალასთან ითანამშრომლებს კონსტრუქციულ რეჟიმში **(გოჩა თევდორაძე)**.

— ექვსი თვის წინ თქვენ დატოვეთ „ნაციონალური მოძრაობა“. მიუხედავად ამისა, ქუთაისის საკრებულოში მაინც ინარჩუნებთ პოზიციებს და წარმოადგენთ უმრავლესობას. იყო თუ არა ეს წინასწარ გათვლილი პოლიტიკური ნაბიჯი, რათა კვლავ გქონოდათ ბერკეტი ქუთაისის საკრებულოში?

— ეს გადაწყვეტილება მოულოდნელად არ მიგვიღია. გუნდიდან ერთ-ერთი პირველი მერაბ მეშველიანი გავიდა. მერე ნელ-ნელა დაიშალა ფრაქცია. გულწრფელად გეტყვით, ეს არ იყო ჩვენთვის მარტივი გადაწყვეტილება. ამ ყველაფერს ხანგრძლივი პროცესები უძღოდა წინ. ჩვენ წლების განმავლობაში ვხედავდით ბევრ არასწორ პროცესს, რომელიც მიდიოდა ადგილობრივ დონეზე. „ნაციონალები“ ყველაფერს აკეთებდნენ იმისთვის, რათა უფუნქციო გამხდარიყო ქალაქის თვითმმართველობა. შედეგად მიიღეს ის, რაც მიიღეს, ანუ პირველი ოქტომბერი **(კახა ნემსიწვერიძე).**

„P.S.ფოტო“ (ირმა ბახუტაშვილი)©

— თქვენი პარტიული ლიდერის — დავით თარხანმოურავის განცხადებამ ქუთაისის მერის პოსტზე პრემიერ-მინისტრის კანდიდატურის უპირობო მხარდაჭერის შესახებ, სამოქალაქო და არასამთავრობო სექტორის ნაწილის პროტესტი გამოიწვია. ამ განცხადების შემდეგ დადგა თუ არა კითხვის ნიშნის ქვეშ კომისიის გამჭვირვალობა?

— ეს იყო პოლიტიკური ნიშნით გაკეთებული განცხადება. ამაში უჩვეულო არაფერია. ფრაქციას აქვს უფლება, გამოხატოს საკუთარი პოლიტიკური პოზიცია. ჩვენ ვთქვით, რომ ქალაქის მერის პოსტზე პრემიერის კანდიდატურას დავუჭერთ მხარს. ამან ზეგავლენა არ უნდა მოახდინოს კომისიის მუშაობაზე. ფრაქციას აქვს გადამწყვეტი როლი ქალაქის მერის დამტკიცების საკითხში, რადგან ჩვენ წარმოვადგენთ უმრავლესობას საკრებულოში, მაგრამ გავლენას ვერ მოვახდენთ კომისიაზე. მართალია, ჩვენი გუნდის ორი წარმომადგენელი, ამავე დროს, არის კომისიის წევრი, მაგრამ იქ უმრავლესობა ეკუთვნის არასამთავრობოებს. შესაბამისად, რაიმე მორალურ-ფსიქოლოგიურ ზეწოლაზე საუბარი ზედმეტია **(ტარიელ მესხი)**.

— ბატონო გოჩა, თქვენი მისამართით არაერთხელ გაისმა ბრალდებები ქუთაისის ბიზნესსექტორში ფინანსური წილების ფლობასთან დაკავშირებით. რამდენიმე დღის წინ, ქალაქის ვიცე-მერმა ამირან ძოწენიძემ თქვენ და კახა ნემსიწვერიძე დაგადანაშაულათ სატრანსპორტო კომპანიებში უკანონო წილების ფლობაში. პირადად თქვენი სახელი დაკავშირებულია ქუთაისში ჭავჭავაძის გამზირზე მდებარე ავტოსადგომზე არსებული ფართების მესაკუთრესთან. გაქვთ თუ არა კერძო ბიზნესი ქუთაისში და არის თუ არა იგი „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ დაფინანსების მთავარი წყარო?

— „პატრიოტთა ალიანსის“ ოფისი ქუთაისში ფინანსდება დავით თარხანმოურავის მიერ, რაშიც, ძირითადად, შედის ოფისის ხარჯები, რომელსაც ღიად, კანონის სრული დაცვით ვიხდით. რაც შეეხება ბიზნესში წილების ფლობას, ეს არის სიცრუე. ქალაქის ვიცე-მერის ეს განცხადება, როგორც მინიმუმ, დიდი გულუბრყვილობაა. ამირან ძოწენიძე საერთოდ ვერ ერკვევა ქალაქის რეალობაში. არანაირ წილს არ ვფლობ სატრანსპორტო კომპანიებში და არც სხვაგან. თუ გავმდიდრდები, აუცილებლად დამეტყობა **(გოჩა თევდორაძე).**

შეხვედრაზე ჟურნალისტები ასევე დაინტერესდნენ პარტიის სამომავლო პოლიტიკური გეგმებით, კერძოდ, აპირებს თუ არა ალიანსი, გახდეს კოალიცია „ქართული ოცნების“ პოლიტიკური თანამოაზრე, რაზეც პარტიის წევრებმა განმარტეს, რომ გააგრძელებენ პრემიერ-მინისტრის ბიძინა ივანიშვილის მხარდაჭერას, თუმცა ემიჯნებიან მის გუნდს.

მარი ჰუტარაია

სახალხო დამცველი:

„ჰომოფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღე საქართველოში ჰომოფობიის გამოვლენის დღე გახდა“

რუსთაველის გამზირზე, პარლამენტის ყოფილი შენობის წინ 17მაისს დაგეგმილი ჰომოფობიისა და ტრანსფობიის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებული აქცია-ფლეშმობი ჩაიშალა. ორგანიზაცია „იდენტობის“ მიერ ორგანიზებული აქციის ჩატარებას ხელი სასულიერო პირებმა, მათი მრევლის და სხვადასხვა ორგანიზაციის წევრებმა შეუშალეს.

რუსთაველის გამზირზე სამართალდამცავი ორგანოები იყვნენ მობილიზებული. მათ მიერ გაკეთებული არაერთი კორდონის მიუხედავად, კონტრაქციის მონაწილეებმა კორდონების გარღვევა მაინც შეძლეს. სახალხო დამცველის აპარატის ცნობით, სხვადასხვა დროს და ადგილას მომხდარი ინცინდენტების შედეგად 17 ადამიანია დაშავებული, რომელთაგან 12 საავადმყოფოშია გადაყვანილი. დაშავებულთა შორის 3 პოლიციელი და ერთი ჟურნალისტია.

ჰომოფობიისა და ტრანსფობიის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებული აქცია-ფლეშმობის ჩაშლას და კონტრაქციის მონაწილეების ქმედებებს აფასებენ ქუთაისის პარლამენტში მყოფი უმრავლესობისა და უმცირესობის წევრები. უმცირესობა მთავრობასა და პოლიციას მოვლენების უკონტროლობაში ადანაშაულებს და აცხადებს,რომ პოლიციამ ვერ შეძლო ლგბტ საზოგადოების წევრების შეკრების თავისუფლების უფლების დაცვა. უმრავლესობა უმცირესობის განწყობას არ იზიარებს და აცხადებს, რომ პოლიციამ ყველაფერი გააკეთა, რაც შეეძლო.

საპარლამენტო უმრავლესობის წევრი ზვიად ძიძიგური აცხადებს, რომ სექსუალური უმცირესობები ლახავენ უმრავლესობის უფლებებს და არა პირიქით.

„პირადი ცხოვრების უფლება ყველას აქვს, მაგრამ მე შვილები მყავს და უმრავლესობის უფლებები სერიოზულად ილახება, როცა გამოდიან და დემონსტრირებას მიკეთებენ, რომ მე ერთსქესიანი ვარ და მაგარი ტიპი ვარ, ეს ჩემთვის, როგორც კონსერვატორისთვის, მიუღებელია,“ — აღნიშნავს **ზვიად ძიძიგური**.

17 მაისს განვითარებულ მოვლენებს გმობს საპარლამენტო უმრავლესობის წევრი გიორგი ცაგარეიშვილიც, თუმცა აღნიშნავს, რომ პოლიციამ გააკეთა ყველაფერი, რაც შესაძლებელი იყო.

„საქართველოს კონსტიტუცია ვრცელდება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. კანონის წინაშე ყველა თანასწორია, ადამიანებს აქვთ უფლება შეიკრიბონ და გამოხატონ თავისი აზრი,“ — განაცხადა **გიორგი ცაგარეიშვილმა.**

მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა იუსტიციის მინისტრმა **თეა წულუკიანმა.**

„ვისაც ჰქონდა პროტესტის და აზრის გამოხატვის სურვილი, თანაბრად ჰქონდა ამის უფლება. ორივე ჯგუფს აქვს არსებობის უფლება, ერთი მარტივი მიზეზის გამო, — ორივე ჯგუფის წევრები არიან ჩვენი ქვეყნის მოქალაქეები და ადამიანები,“ — ამბობს იუსტიციის მინისტრი.

„იდენტობის“ მიერ ორგანიზებული აქციის ჩაშლის ფაქტს გამოეხმაურა პრეზიდენტის ადმინისტრაცია.

პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი **ანდრო ბარნოვი** სპეციალურ ბრიფინგზე აღნიშნავს, რომ ვინაიდან ყველა ადამიანი საზოგადოების წევრია, გადამწყვეტი ფაქტორი არის სწორედ საზოგადოება.

უმცირესობის წევრი **ზურაბ ჯაფარიძე** აღნიშნავს, რომ დღევანდელ მოვლენებზე პასუხისმგებელი საქართველოს მთავრობაა.

„ეს არის იმ დაუსჯელობის სინდრომი, რომელიც საქართველოს ამჟამინდელმა ხელისუფლებამ დანერგა,“ — განაცხადა მან.

„ეს არის ტოტალური სიბნელის, ბოროტების და სისასტიკის გამოვლინება. ძალიან ძნელია ამ ყველაფრის ყურება, როცა მასში მონაწილეობენ სასულიერო პირები, რომლებიც არ ერიდებიან ამ სისასტიკეში ბავშვების ჩართვას,“ — ამბობს **ჩიორა თაქთაქიშვილი.**

სახალხო დამცველის აპარატმა სპეციალური განცხადება გაავრცელა და შინაგან საქმეთა სამინისტრო შესაბამისი ზომების მიუღებლობისთვის გააკრიტიკა.

„სამწუხარო პარადოქსია, რომ სწორედ ჰომოფობიის წინააღმდეგ ბრძოლის დღე გახდა საქართველოში ჰომოფობიის გამოვლინების დღე. მიუხედავად იმისა, რომ შსს რამდენიმე დღით ადრე იყო ინფორმირებული, რომ ერთი და იგივე ადგილზე უნდა გამართულიყო პარალელური აქცია, ასევე მოსალოდნელი საფრთხეების შესახებ, რომელსაც შესაძლოა ადგილი ჰქონოდა, ლგბტ და მათი მხარდამჭერი ორგანიზაციების წარმომადგენლებს არ მიეცათ საშუალება, ესარგებლათ კონსტიტუციით მათთვის მინიჭებული შეკრების თავისუფლებით,“ — ნათქვამია განცხადებაში.

პირველადი შეფასებები გააკეთეს იმ ორგანიზაციებმაც, რომლებიც 17 მაისს, რუსთაველის გამზირზე ერთი და იმავე ადგილას დაგეგმილ ორ პარალელურ აქციას აკვირდებოდნენ. დამკვირვებელი ორგანიზაციები გავრცელებულ განცხადებაში შინაგან საქმეთა სამინისტროს საჭირო ზომების არგატარებაში ადანაშაულებენ და აცხადებენ, რომ სტრატეგია, რომელიც პოლიციამ აქციის მონაწილეების უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით შეიმუშავა, კონტრდემონსტრანტების ოდენობის, მათი უკონტროლო ქცევისა და რისკების გათვალისწინებით არ იყო ეფექტური.

„ამ ეტაპისთვის შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ შსს-მ სათანადოდ ვერ შეაფასა კონტრდემონსტრანტების მხრიდან მომდინარე შესაძლო რისკები და ვერ შეიმუშავა უსაფრთხოების შესაბამისი სტრატეგია. პოლიცია არ მოქმედებდა კოორდინირებულად და ხშირ შემთხვევაში იყო უსუსური დაეცვა მოქალაქეთა გამოხატვის თავისუფლება. უფრო მეტიც, იქმნება შთაბეჭდილება, რომ შსს ორიენტირებული იყო აქციის მონაწილეთა ტერიტორიიდან უსაფრთხოდ გაყვანაზე და არა აქციის დაცვაზე,“ — ვკითხულობთ განცხადებაში.

შეგახსენებთ, რომ დაგეგმილი აქციის შესახებ თბილისის მერიაში განცხადება 2 მაისს შევიდა. აქციის ორგანიზატორები განცხადებით, აქცია-ფლეშმობი 17 მაისს 13:00 საათზე დაიწყებოდა და მღუმარე სახით ნახევარ საათს გაგრძელდებოდა. აქციის დროს ცისარტყელას ფერების მაისურებში ჩაცმული ადამიანები დროშის მოხაზულობას შექმნიდნენ. აქციის ორგანიზატორები არ გეგმავდნენ გზის გადაკეტვას.

კონტრაქციის შესახებ თბილისის მერიას უფლებადამცველმა გიორგი გაბედავამ 13 მაისს მიმართა და აცნობა, რომ 17 მაისს ეკლესიის მოძღვართა მიერ, საკუთარ მრევლთან ერთად იგეგმებოდა შეკრება ასევე რუსთაველის გამზირზე, პირველი სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე.

ორმა პარალელურად დაგეგმილმა აქციამ ექსცესების ფონზე ჩაიარა.

თეონა შათირიშვილი

ვის უთხრიან ძირს ყოფილი „ნაციონალები“?

„პატრიოტთა ალიანსის“ გაურკვეველი პოლიტიკური ორიენტაცია

გასულ კვირას პარტია „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერის დავით თარხანმოურავის განცხადებამ ქუთაისში კვირის ყველა პოლიტიკური მოვლენა გადაფარა. ქუთაისის მერის კონკურსის წესით არჩევამდე რამდენიმე დღით ადრე, პარტიის ლიდერმა განაცხადა, რომ „პატრიოტები“ ქალაქის მერის პოსტზე მხოლოდ პრემიერ-მინისტრის ბიძინა ივანიშვილის მიერ შემოთავაზებულ კანდიდატს დაუჭერენ მხარს.

„ბიძინა ივანიშვილის კანდიდატურა ავტომატურად ნიშნავს ქალაქის მომავალ მერს,“ — განაცხადა **დავით თარხან-მოურავმა**.

ყოფილი „ნაციონალების“ პარტიული ლიდერის ამ განცხადებამ საბოლოოდ შეარყია ქუთაისის საკრებულოში შექმნილი საკონკურსო-საატესტაციო კომისიის მიმართ ნდობა და ეჭვქვეშ დააყენა მომავალი მერის დემოკრატიულობის საკითხი.

70-მდე კონკურსანტის შეურაცხყოფისთვის თარხანმოურავისგან ბოდიშის მოხდას მოითხოვდნენ სამოქალაქო და არასამთავრობო სექტორები. მომხდარის გამო საერთო აღშფოთება გამოითქვა „სახალხო დამცველის“ ქუთაისის ოფის“ში, სადაც რიგითმა მოქალაქეებმა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა უნდობლობა გამოუცხადეს კომისიას. ქუთაისის მერობის ერთ-ერთმა კანდიდატმა ბესო მიქელთაძემ თარხანმოურავს „ქუთაისელების შეურაცხყოფისთვის“ სასამართლოში უჩივლა.

საკითხის მნიშვნელობა კიდევ უფრო გაამწვავა იმ ფაქტმა, რომ ფრაქცია „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ ქუთაისის საკრებულოში უმრავლესობას წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, სწორედ „პატრიოტები“ გადაწყვეტენ, ეყოლება თუ არა ქალაქს საატესტაციო-საკონკურსო კომისიის მიერ შერჩეული კანდიდატი.

თარხანმოურავის განცხადებას ერთ-ერთი პირველი ქალაქის ვიცე-მერი ამირან ძოწენიძე გამოეხმაურა.

„ამ განცხადებით „პატრიოტებმა“, პრაქტიკულად, დასცინეს იმ 70-ზე მეტ ადამიანს, ვინც განაცხადი შემოიტანა ქალაქის მერის ვაკანსიაზე. როგორც ჩანს, თარხანმოურავის და ბიძინა ივანიშვილის გადასაწყვეტი ყოფილა, ვინ უნდა იყოს ქუთაისის მერი. უკვე დამტკიცდა, რომ კომისია არის ფორმალობა და გადაწყვეტილების მიღება ხდება სხვაგან,“ — განაცხადა **ამირან ძოწენიძემ**.

„პატრიოტები“ გააკრიტიკეს არასამთავრობო ორგანიზაციებმაც.

„ეს არის კონკურსანტთა შეურაცხყოფა და აბუჩად აგდება. მივმართავ პრემიერ-მინისტრს, რეაგირება მოახდინოს თარხანმოურავის ამ უპასუხისმგებლო განცხადებაზე,“ — ამბობს არასამთავრობო ორგანიზაცია „გამჭვირვალე თვითმმართველობისთვის“ წარმომადგენელმა **მანანა მანაგაძემ**.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ ქუთაისის ოფისის ადვოკატის თეონა ზაქარაშვილისთვის გაუგებარია მსგავსი განცხადების გაკეთების მიზეზი იმ პარტიის მხრიდან, რომლის ორი წევრი ამავე დროს მუდმივმოქმედ კომისიაში არის.

„ამ განცხადების პასუხად შეიძლება ითქვას, რომ სახეზეა პრეზიდენტის 47-ე ბრძანებულების დარღვევა, რომლის თანახმადაც, ადგილობრივ თვითმმართველობებში მერი და მერიის თანამშრომლები არჩეულ უნდა იქნან მხოლოდ კონკურსის წესით. თუ წინასწარ ცხადდება გამარჯვებული კანდიდატი, მაშინ რა აზრი აქვს კონკურსის ჩატარებას? ჩვენთვის ეჭვის საფუძველს თავიდანვე იძლეოდა ის ფაქტიც, რომ „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ უარი უთხრეს კომისიის შემადგენლობაში შეყვანაზე, მაშინ, როცა ის ნაკლებად ცნობილი არასამთავრობოებით არის დაკომპლექტებული,“ — აცხადებს **თეონა ზაქარაშვილი.**

თარხანმოურავის განცხადებამ მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა კომისიის წევრები. მეორე დღესვე გავრცელდა ინფორმაცია ორი წევრის მიერ კომისიის დატოვების შესახებ, რაც საბოლოოდ არ დადასტურდა.

დავით თარხანმოურავის მიერ გაკეთებული სკანდალური განცხადების შემდეგ განმარტებების გაკეთება მოუწიათ თავად ალიანსის წევრებსაც. მათი თქმით, ამით მათ სურდათ მხოლოდ იმის დაფიქსირება, რომ „პატრიოტთა ალიანსი“ საკრებულოში წარმოადგენს უმრავლესობას და მათზეა დამოკიდებული ქალაქის მერის არჩევა-არარჩევის საკითხი.

„პატრიოტების“ განმარტებების შემდეგ, საზოგადოებაში გაჩნდა მოსაზრება იმის შესახებ, რომ პარტიის ლიდერმა, რომელიც არც თუ ისე ხშირად სტუმრობს ქალაქს, შესაძლოა, განცხადების გაკეთების დროს „გადაამეტა“, რეალურად კი „პატრიოტები“ ასეთ მწვავე გამოსვლას არ გეგმავდნენ. თუმცა, ალიანსის წევრებმა შერბილებული პოზიცია კვლავ გაამკაცრეს და დაიწყეს იმის მტკიცება, რომ ითქვა ზუსტად ის, რაც უნდა ეთქვათ.

„ვერავის განცხადება ვერ მოახდენს გავლენას კომისიის მუშაობაზე. კომისია ქალაქის მერს გამოავლენს მხოლოდ დემოკრატიული პროცესების შედეგად,“ — განაცხადა კომისიის თავმჯდომარემ და „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ წევრმა **თამაზ მარგველაშვილმა.**

კომისიაში განაცხადების განხილვა დაწყებულია და უკვე გამოვლინდა მომდევნო ეტაპის 11 კანდიდატი, რომლებიც მოგვიანებით ინდივიდუალურ

გასაუბრებას გაივლიან. დაუდასტურებელი ინფორმაციით, ქალაქის მერის პოსტზე უკვე დაწინაურდა ამერიკაში მცხოვრები ბიზნესმენი დიმიტრი კოპალიანი, რომელიც ბოლო დროს აქტიურად განიხილება ქალაქის მომავალ მერად. კომისიის პირველი სხდომა მედიისთვის დახურულად გამოცხადდა. როგორც კომისიის წევრებმა განმარტეს, ამ შემთხვევაში კანონდარღვევას ადგილი არ ჰქონდა.

„ეს ჩვენი უფლება იყო. გვინდოდა — გავხსნიდით, გვინდოდა — დავხურავდით. ამით კანონი არ დაგვირღვევია. რაც შეეხება ბოლო ეტაპს, არ გამოვრიცხავთ, რომ ინდივიდუალური გასაუბრება მედიისთვის ღია იყოს,“ — განაცხადა კომისიის ერთ-ერთმა წევრმა **კახა ნემსიწვერიძემ**.

ქალაქის მერს, სავარაუდოდ, 29 მაისის საკრებულოს სხდომაზე დაამტკიცებენ.

რა სურთ „პატრიოტებს“?

ქუთაისის საკრებულოში ფრაქცია „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ შექმნას ხმაურიანი პროცესები მოჰყვა. ყოფილმა „ნაციონალებმა“ უნდობლობა გამოუცაცხადეს დეპუტატთა ნაწილს და საკუთარ პოლიტიკურ გუნდს გაემიჯნენ. 2013 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, „ნაციონალთა“ რიგებში დაწყებულმა რღვევის პროცესმა შედეგად „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ მოიტანა, რომელიც ახლა ქუთაისის საკრებულოში უმრავლესობას წარმოადგენს. „პატრიოტები“ თავს ოპოზიციად მიიჩნევენ, თუმცა, ფრაქციის წევრებს უჭირთ კონკრეტული პასუხი გასცენ შეკითხვას: ვის უწევს ალიანსი ოპონირებას?

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე და ფრაქციის წევრი **მერაბ მეშველიანი** ამბობს, რომ საკრებულოში რეალური ოპოზიცია „ნაციონალური მოძრაობაა“, რომელიც, წარმომადგენლობით ორგანოში „პატრიოტების“ სახით ყველაზე დიდი ფრაქციის შექმნის შემდეგ, მხოლოდ სამკაციანი შემადგენლობით დარჩა. რაც შეეხება ალიანსის პოლიტიკურ ორიენტაციას, მისი თქმით, ისინი არ უჭერენ მხარს „ქართულ ოცნებას“, თუმცა ეთანხმებიან ბიძინა ივანიშვილს ყველა კარგ საქმეში.

ექვემდებარება თუ არა ლოგიკას პიროვნული მხარდაჭერა მხოლოდ კოალიციის ლიდერისადმი, რომელიც გამოხატავს საკუთარი გუნდის ინტერესებს, ამაზე პასუხი „პატრიოტებს“ არ აქვთ.

„არც პოზიცია და არც ოპოზიცია! ჩვენ ვართ მესამე ძალა. „პატრიოტები“ ყოველთვის მხარს დავუჭერთ ბიძინა ივანიშვილს ყველა კარგ წამოწყებაში, თუმცა, აზრთა სხვადასხვაობის შემთხვევაში, გამოვხატავთ ჩვენს დამოკიდებულებას. მაგალითად, „პატრიოტებმა“ დაფიქსირეს საკუთარი უარყოფითი პოზიცია ბათუმში აზიზიეს მეჩეთის მშენებლობასთან დაკავშირებით. ასევე შეურიგებლები ვიქნებით საქართველოს პარლამენტის ქუთაისიდან გადატანის საკითხში,“ — ამბობს ფრაქცია „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ თავმჯდომარე **კახა ნემსიწვერიძე**.

აღსანიშნავია, რომ „ქართული ოცნების“ ლიდერის მიმართ პიროვნული სიმპათიების დაფიქსირების პარალელურად, „პატრიოტები“ ყოფილი თანაგუნდელების „ლიდერშიპებსაც“ სწყალობენ. ბოლო დროს ქუთაისის ადგილობრივი თვითმმართველობის შენობასა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე ერთად გამოჩენას არ ერიდებოდნენ საკრებულოს „პატრიოტი“ თავმჯდომარე თამაზ მარგველაშვილი და იმერეთის გუბერნატორი ვახტანგ ბალავაძე — ქუთაისის მაჟორიტარ დეპუტატ აკაკი ბობოხიძესთან ერთად.

მერის კონკურსის წესით არჩევის წინ „ჩინოვნიკთა“ საჯარო „სეირნობა“, დაუდასტურებელი ინფორმაციით, სწორედ ქალაქის თავის არჩევას უკავშირდებოდა. ქუთაისის მერის კონკურსში განაცხადების მიღების ვადის დასრულებამდე ორი დღით ადრე კი „პატრიოტთა ალიანსი“, სკანდალური განაცხადებით, ეჭვქვეშ აყენებს კომისიის მუშაობის გამჭვირვალობას და წინასწარ ქმნის მერის არადემოკრატიულად არჩევის განწყობას.

„პატრიოტების“ განცხადებების უკან ადგილობრივ თვითმმართველობაში მიმდინარე შიდა „პოლიტიკურ“ პროცესებს ხედავს არასამთავრობო ორგანიზაციათა და ადგილობრივი ოპოზიციის ნაწილი. მათი თქმით, პირველ რიგში თავად ფრაქციის ინტერესებში უნდა შედიოდეს კომისიის მიმართ საზოგადოებრივი ნდობის ამაღლება და არა პირიქით — მისი იმიჯის შელახვა. ალაინსმა კი ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რათა ქუთაისის მომავალ მერს საზოგადოებამ უნდობლობა გამოუცხადოს.

„გოჩა თევდორაძე გამჭრიახი კაცია და მან კარგად იცოდა, რაც მოჰყვებოდა თარხანმოურავის ამ განცხადებას. ეს იყო მიზანმიმართული ქმედება,“ — ამბობს პარტია „თავისუფალი საქართველოს“ ქუთაისის ორგანიზაციის ხელმძღვანელი **გოგი წულაია** „პატრიოტთა“ მისამართით.

„გაუგებარი და ბუნდოვანია, რა ხდება იქ, შიგნით, თუმცა ფაქტია, რომ პოლიტიკური პროცესები მიდის. საერთოდ, გოჩა თევდორაძე ის კაცია, ვინც ჯიბეში ჩაიდო მთელი ქალაქი,“ — აცხადებს მერობის ერთ-ერთი კანდიდატი **ლია გვენეტაძე**.

აღსანიშნავია, რომ „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ იმერეთის ორგანიზაციის ხელმძღვანელი გოჩა თევდორაძე ქუთაისში სხვადასხვა ბიზნესწილების ფლობაში დაადანაშაულა ვიცე-მერმა ამირან ძოწენიძემაც, თუმცა თავად თევდორაძე ბრალდებებს ყოველთვის კატეგორიულად უარყოფდა.

„თუ გავმდიდრდები, აუცილებლად დამეტყობა. არანაირ უკანონო ქონებას არ ვფლობ ქუთაისში და არც ბიზნესში მაქვს წილები,“ — განაცხადა **გოჩა თევდორაძემ** გაზეთ „*P.S.*“-ის პრესკლუბის პრეზენტაციაზე ჟურნალისტებთან შეხვედრისას.

ძნელი სათქმელია, გამართლდა თუ არა ბოლო დროს ქუთაისში დამკვიდრებული ტერმინი „ნაციონალების მარტივ მამრავლებად დაშლის შესახებ“. ფაქტია, რომ „გაპატრიოტებული“ ნაციონალები კვლავ უმრავლესობაში არიან და ქალაქის საკრებულოში მმართველ ძალას წარმოადგენენ.

მარი პატარაია

ხატია ვედმედევა:

„მერად არჩევის შემთხვევაში, ქუთაისს ძველ დიდებას დავუბრუნებ“

ვინ იქნება ქუთაისის მომავალი მერი? ეს ის კითხვაა, რომელსაც რიგითი ქუთაისელები ყოველდღიურად სვამენ. საპარლამენტო ქალაქში მცხოვრებლებისათვის ცნობილია, რომ კითხვაზე პასუხს მიმდინარე თვის ბოლოს მიიღებენ. ამიტომ, ლოდინის მეტი არაფერი დარჩენიათ. ქუთაისის მერიაში კი ახალი მერის შესარჩევად შექმნილ კომისიას საქართველოში რიგით მეორე ქალაქის პირველკაცობის სურვილით იმაზე მეტმა ადამიანმა მიმართა, ვიდრე ამას თავად კომისიაში პროგნოზირებდნენ. აღნიშნული კომისიის ფუნქციას ბევრი კანდიდატიდან ერთი საუკეთესო კანდიდატის შერჩევა წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ ქუთაისის მერობის მსურველთა შორის უმრავლესობა ქალია. მათგან ერთ-ერთი გამოკვეთილი კანდიდატი, რომელმაც ქუთაისელებს თავი უკვე გააცნო, ხატია ვედმედევაა. მერობის კანდიდატზე ინფორმაციის მოპოვებას პირადად მისგან შევეცადეთ:

— დავიბადე 1987 წლის 24 იანვარს. საშუალო განათლება ნაწილობრივ ქუთაისში მივიღე. ამის შემდეგ მოსკოვში გადავედით საცხოვრებლად, სადაც ერთ-ერთი რუსული გიმნაზია წარმატებით დავასრულე. 2004 წელს კი რუსეთის უნივერსიტეტში სახელმწიფო და მუნიციპალურ მართვაზე ჩავაბარე, სადაც 5 წლის განმავლობაში ვსწავლობდი. სწავლის დასრულების შემდეგ ვთანამშრომლობდი არასამთავრობო ორგანიზაციებთან. ასევე ბანკშიც ვმუშაობდი. როცა მივხვდი, რომ რაღაც ეტაპზე განათლების მიღება დავასრულე, საქართველოში ჩამოვედი და მინდა აქტიურად ჩავერთო ქალაქის ცხოვრებაში.

— რატომ გადაწყვიტეთ ქუთაისის მერის შესარჩევ კონკურსში მონაწილეობის მიღება?

— მე ვარ ის ადამიანი, ვინც ქუთაისში დაიბადა და გაიზარდა. რომელმაც იცის რიგითი ქუთაისელების გასაჭირი. სწორედ ამიტომ მსურს გავხდე ქალაქის პირველი პირი და ყველა ის პრობლემა მოვაგვარო, რომელიც ჩვენს თანაქალაქელებს ასე აწუხებთ. სწორედ

ხატია ვედმედევა

ამიტომ მივიღე მერის შესარჩევ კონკურსში მონაწილეობის გადაწყვეტილება.

— რას ელოდებით კონკურსისაგან, როგორია თქვენი პროგნოზი?

— საქართველოში გაიმარჯვა იმ პოლიტიკურმა ძალამ, რომელსაც მე ძალიან დიდ პატივს ვცემ და მჯერა, რომ ეს ძალა მზადაა, ქვეყანა სამართლიანობის ფარგლებში მართოს და პროფესიონალი კადრები დაასაქმოს. სწორედ ამიტომ მჯერა, რომ გავიმარჯვებ. მჯერა ასევე, კომისიის წევრების ობიექტურობისა და მიუკერძოებლობის.

— ქალბატონო ხატია, გავრცელებული ინფორმაციით, ქუთაისის მერს არა კომისია, არამედ ქვეყნის პრემიერი ბიძინა ივანიშვილი შეარჩევს. გჯერათ, რომ თქვენ მისი ფავორიტი იქნებით?

— რადგან გამოცხადდა კონკურსი და ითქვა, რომ ქუთაისის მერი კონკურსის წესით უნდა შეირჩეს, მე მჯერა იმის, რომ ბატონი პრემიერი მასში არ ჩაერევა. რაც შეეხება პრემიერის მხრიდან ჩემს ლობირებას, ეგ გამორიცხულია. მე საკუთარი თავი თვითონ უნდა წარმოვადგინო.

— ხშირად საუბრობენ იმაზე, რომ ქუთაისის ადგილობრივ თვითმმართველობაში კადრები გაბერილია და დასაქმებულთა რაოდენობის შემცირება უნდა მოხდეს. იმ შემთხვევაში თუ თქვენ ქალაქის მერი გახდებით, რა ბედი ელით მერიაში დასაქმებულებს?

— პირველ რიგში, თანამდებობას შეინარჩუნებენ ის ადამიანები, რომლებიც თავიანთი საქმის პროფესიონალები და ერთგულები არიან. რა თქმა უნდა, გადავხედავ საშტატო ერთეულს და თუ მათი რაოდენობის შემცირება რიგითი ქუთაისელების მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის იქნება საჭირო, ამას გავაკეთებ.

— მერობის შემთხვევაში როგორ წარმოგიდგენიათ ქალაქის განვითარება?

— ძალიან მინდა ქუთაისი სტუდენტთა ქალაქად ვაქციო. ქალაქად, სადაც ათობით ათასი სტუდენტი ჩამოვა და იცხოვრებს. რაც ქალაქს გამოაცოცხლებს. ასევე მინდა, რომ იმერეთის სოფლები სოფლის მეურნეობის აყვავებისა და სოფლის სადისტრიბუციო ცენტრად იქცეს, აღსდგეს ფაბრიკა-ქარხნები და ყველა ქუთაისელი დასაქმებული იყოს.

— თქვენ ერთ-ერთ სატელევიზიო ინტერვიუში განაცხადეთ, რომ ქუთაისის განვითარებას სოფლის მეურნეობის განვითარებაში ხედავთ. აღნიშნული საზოგადოებამ სხვაგვარად აღიქვა. რეალურად რას გულისხმობდით?

— რეალურად ვგულისხმობდი მას, რომ ქუთაისის მახლობლად არის მრავალი სოფელი, სადაც მიწები არ იხვნება, მიზეზი კი პროდუქციის გასაღების პრობლემაა. მსურს, ქუთაისი სოფლის მეურნეობის პროდუქციის გასაღების ბაზრის ცენტრი იყოს.

— ქალბატონო ხატია, იმ შემთხვევაში თუ ქალაქის მერი ვერ გახდით, დარჩებით თუ არა კვლავ ქუთაისში?

— რა თქმა უნდა. იმის მიუხედავად, ამირჩევენ თუ არა ქალაქის მერად, მე ვაპირებ ქუთაისში ცხოვრებას და მოღვაწეობას. ძალიან მინდა შევქმნა არასამთავრობო ორგანიზაცია, ამ კუთხით ვიყო აქტიური, ბედი მომავალ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე მოვსინჯო.

ნინო ქემერტელიძე

მიტოვებული შენობების საგა

რატომ იკარგება ქალაქისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის ტერიტორიები?

მეორე დედაქალაქი, საპარლამენტო ქალაქი, კულტურის ცენტრი — ამგვარად მოიხსენიებენ ქუთაისს და აქვს კიდეც მას რესურსი და ამბიცია, იყოს განვითარებული ქალაქი. თუმცა, რომ არაფერი ვთქვათ გარეუბნებზე, ინფრასტრუქტურის კუთხით, ქალაქის ცენტრალურ ნაწილში არსებული მდგომარეობაც კი არ შეეფერება საპარლამენტო ქალაქს.

წლების წინ უმოქმედოდ დარჩენილი შენობები და მიწის ნაკვეთები, რომელთაგან ნაწილი კერძო საკუთრებაშია, ნაწილი კი — ეკონომიკის სამინისტროსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ბალანსზე, ზოგი მთლიანად განადგურდა, ზოგიერთი კი ნანგრევებადაა ქცეული, რაც, ერთის მხრივ, საფრთხეს უქმნის გამვლელებს. მეორე მხრივ კი აღნიშნული შენობები და რკინის მესერით შემოღობილი მიწის ნაკვეთები ნამდვილ სანაგვედაა ქცეული.

ეკალ-ბარდები, ნაგვის ნარჩენები, უსიამოვნო სუნი (რომელიც ზაფხულში, მაღალი ტემპერატურის გამო, უკვე ადგილობრივების და გამვლელების უკმაყოფილებას იწვევს), თავის მხრივ, ქალაქის იმიჯს საფრთხეს უქმნის. ადგილობრივების განცხადებით, შესაბამის უწყებებს არაერთხელ მიმართეს შენობების დასუფთავების და დემონტაჟის მოთხოვნით, თუმცა — უშედეგოდ.

ახალგაზრდობის თეატრის ორსართულიანი შენობა, სასტუმრო „თბილისის" გვერდით არსებული მიწის ნაკვეთი, ასევე თამარ მეფის ქუჩის ნომერი 32, ამავე ქუჩის 9 ნომერში არსებული მიტოვებული საგრენაჟო ქარხანა, ყოფილი ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის, ასევე მესხიშვილის თეატრის უკან მდებარე, ყოფილი კომკავშირის რაიკომის შენობა, რომელიც, გავრცელებული ინფორმაციით, პრეზიდენტმა სააკაშვილმა ე.წ. კანონიერ ქურდს ბონდო შალიკიანს წაართვა. ამავე მდგომარეობაშია ყოფილი აბანოების შენობა, რომლის პირველ სართულზეც მაღაზიები და აფთიაქებია შესული; გალაკტიონ ტაბიძის 2 ნომერში მდებარე შენობა და მასწავლებელთა სახლი... ეს არასრული ჩამონათვალია იმ შენობებისა, რომლებიც მეორე დედაქალაქის ცენტრში მდებარეობს.

რამდენიმე დღის წინ ქუთაისის საპატიო მოქალაქე, რესპუბლიკის დამსახურებული ჟურნალისტი ალეკო შენგელია დაგვიკავშირდა და აღნიშნა, რომ მასწავლებელთა სახლის ნანგრევებიდან ქვები ცვივა, თვითონაც შემთხვევით გადარჩა, როდესაც სახლის სიახლოვეს გადაადგილდებოდა: „ამბობენ ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზეა და უკითხავად ვერ შევეხებითო. ქალაქის ცენტრში, ადმინისტრაციულ შენობასთან ასე ახლოს, დანგრეული და დამწვარი შენობა გამვლელებს საფრთხეს უქმნის, რად უნდა ამას ვინმეს ნებართვის ლოდინი, მიხედე შენს ქალაქს!" — აცხადებს ალეკო შენგელია მერიის მისამართით.

ვის ბალანსზე ირიცხება აღნიშნული შენობები და ფართები; რატომ არ ხდება მათი დემონტაჟი ან გასუფთავება; რატომ იკარგება ქალაქისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის ტერიტორიები და რომელ შენობებს გადმოსცემს ეკონომიკის და სხვა სამინისტროები ადგილობრივ თვითმმართველობას, — ამის შესახებ ინფორმაცია მერიის ქონების მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა **ვალერი თევდორაძემ** მოგვაწოდა:

— მერია დემონტაჟს მაშინ მოახდენს, როდესაც ექსპერტიზა დადებს დასკვნას, რომ შენობა საფრთხეს წარმოადგენს. თქვენ, პირველ რიგში, მასწავლებელთა სახლს გულისხმობთ, ალბათ? ეს შენობა

ნიუპორტის ქუჩა

წარმოადგენს ეკონომიკის სამინისტროს საკუთრებას. მერიის მხრიდან დასმულია საკითხი, რომ მოხდეს შენობის შესაბამისობაში მოყვანა. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ ისინი ვერ ახერხებენ მოწესრიგებას, გადმოეცეს თვითმმართველობას და შემდეგ თვითმმართველობის მხრიდან მოხდება წესრიგში მოყვანა. ანალოგიური ხასიათის წერილები გადაეგზავნა ყველა იმ შენობის მესაკუთრეს, რომელთა ქონებას, ექსპერტიზის დასკვნის გარეშეც, ერთი შეხედვითაც კარგად ემჩნევა, რომ რისკის მატარებელია და რომელთა მდგომარეობაც ამახინჯებს ქუთაისის იერსახეს. ბევრ შენობაში შეინიშნება ანტისანიტარიული მდგომარეობა, ყველა ადმინისტრაციულ ორგანიზაციას აქვს დასრულებისათვის გარკვეული ვადები და ყველა ვალდებულია, დაიცვას ეს.

— აქვს თუ არა მერიას უფლება, ავარიულ მდგომარეობაში მყოფი შენობის მეპატრონეს აუკრძალოს ავარიულ მდგომარეობაში მყოფ შენობაში რომელიმე ობიექტის შეშვება, ვინაიდან ეს საფრთხეს უქმნის იქ მყოფთ?

— მაგას ვერ მოვითხოვთ, რადგან კერძო საკუთრებაა. აქედან გამომდინარე, ვერ იქნება სხვა კუთხით საკითხი დაყენებული. გარდა იმისა, რომ მათ მიმართ არსებობს ვალდებულება, რომ შენობა წესრიგში მოიყვანოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, თითოეულ მოქალაქეზე და იურიდიულ პირზე, რომელთაც ნახევრად დანგრეულ შენობაში შეუშვებს, ყოველნაირი პასუხისმგებლობა დაეკისრება მას.

— ეს ხომ არ ნიშნავს, რომ მხოლოდ მეპატრონეების კეთილ ნებაზეა დამოკიდებული დასუფთავება და, თუნდაც, დემონტაჟი?

— არა, მხოლოდ კეთილ ნებაზე არაა, ვალდებულებაცაა, რომლის შესასრულებლადაც მათ, როგორც ზემოთ აღვნიშნე, გარკვეული ვადები ეძლევათ. ახალგაზრდობის თეატრის მიმართებაში, ამჟამად მიმდინარეობს დოკუმენტალური სახის სამუშაოები. იყო კულტურის სამინისტროს საკუთრებაში და გადმოეცა თვითმმართველობას და, შესაბამისად, ჩვენს მიერ ხდება მისი განკარგვა. თუმცა, არის ერთი ფაქტი — ის უძრავ ძეგლთა რიცხვს მიეკუთვნება და პრივატიზებისთვის საჭიროა შეთანხმება. არ იქნება სამართლებრივად სწორი — შეთანხმების გარეშე გასხვისება. ამიტომ, კულტურის სამინისტროსთან მიმდინარეობს მოლაპარაკება — შენობის უძრავი ძეგლის სტატუსი ან გადაიხედოს, ანდა შენარჩუნდეს, შესაბამისი სამუშაოების ჩატარების პირობით. ალბათ, ივნისში ჩვენ დავასრულებთ ამ საკითხზე დოკუმენტალური სახის მუშაობას და ამის შემდეგ მოხდება შემდგომი განკარგვის პროცესი. პრივატიზება იქნება ეს, თუ სარემონტო სამუშაოების ჩატარება — იქნება მიღებული გადაწყვეტილება. შემდგომ ჩაისმება ქალაქის ბიუჯეტში, ანდა, შესაბამისად, გამოცხადდება ტენდერი, რომელიც იქნება კონკურსის სახის და შენობაში სარემონტო სამუშაოებს გამარჯვებული კომპანია ჩაატარებს.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მერიის სამსახურებთან ერთად, რომლებიც წლებია, პრობლემის მოგვარებას გვერდს უვლიან, მეტ-ნაკლებად თავისი წილი პასუხისმგებლობა იმ რიგით მოქალაქეებსაც ეკისრებათ, რომელთაც, ისედაც დანგრეული შენობები ნაგავსაყრელებად აქციეს.

ნესტან ჩაგელიშვილი

დეფლაციიდან გამოსავალი: მთავრობამ უნდა დახარჯოს ბევრი ფული

ახალი მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკა, საკითხზე კომენტარების რაოდენობისა და თემის გაშუქების თვალსაზრისით, შეიძლება კვირის თემად შეფასდეს. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატი) მიერ გამოქვეყნებულ მონაცემებს არაერთგვაროვანი შეფასება მოჰყვა. დამოუკიდებელ ექსპერტთა უმრავლესობა ეკონომიკური ზრდის ტემპების შემცირების ტენდენციებზე საუბრობს. არასაიმედო პროგნოზს აკეთებს ჩვენს ქვეყანაში წლების განმავლობაში აქტიურად მოღვაწე, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD) და საერთაშორისო სავალუტო ფონდი (სსფ).

საქსტატის მიერ გამოქვეყნებული პირველი კვარტლის მონაცემებით, იანვარში ეკონომიკური ზრდა იყო 2,9 პროცენტი, თებერვალში — 2,8 პროცენტი, მარტში — 0,2 პროცენტი. ამავე პერიოდის, ასევე, აპრილის მაჩვენებლებით, დაბალი იყო როგორც მთლიანი ინფლაცია, ასევე, საბაზო ინფლაციის მაჩვენებლები. მთლიანმა ინფლაციამ აპრილში 1,7 პროცენტი შეადგინა. შემცირებულია ინფლაციის შემდეგი კვარტლების საპროგნოზო მაჩვენებლებიც.

საერთო ჯამში, წლის ბოლოსთვის, საქართველოს ეკონომიკური ზრდის დაგეგმილი 6 პროცენტიანი ზრდის პროგნოზი, შესაძლოა, არ გამართლდეს.

EBRD -ის შეფასებით, საქართველოს ეკონომიკური ზრდა წლის ბოლოსთვის 3% იქნება. სსფ კი საკუთარ პროგნოზს უახლოეს დღეებში გააცხადებს.

აღნიშნულს ეკონომიკური კრიზისის ნიშნებად აფასებენ ახალი მთავრობის ოპონენტები და დამოუკიდებელი ექსპერტები. საპარლამენტო უმცირესობის წევრი გიორგი ვაშაძე აცხადებს, რომ „ეკონომიკა ღრმა კრიზისში შედის და ბიუჯეტი არ ივსება". ეროვნული ბანკის პრეზიდენტი გიორგი ქადაგიძე სახიფათო ტენდენციებზე საუბრობს და აღნიშნავს, რომ „საქსტატის" მონაცემები არ იძლევა 6 პროცენტიანი ეკონომიკური ზრდის შენარჩუნების წინაპირობას. „ამის მიზეზია, ერთის მხრივ, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინების შენელება, ასევე, შიდა ეკონომიკური ფაქტორები, მხედველობაში მაქვს ადგილობრივი ბიზნესის პასიურობა, რომელიც ჯერ კიდევ არ გამოსულა მოლოდინის რეჟიმიდან. იმედს ვიტოვებ, რომ წლის მეორე ნახევრიდან აღნიშნული ნეგატიური ტენდენცია შეიცვლება," — აცხადებს **გიორგი ქადაგიძე.**

საპირისპიროს ამტკიცებს მთავრობის ხელმძღვანელი, საქართველოს პრემიერ-მინისტრი **ბიძინა ივანიშვილი,** რომელიც აცხადებს, რომ მან „ეკონომიკაც იცის, ბიზნესიც იცის" და რომ, „ვისაც ეკონომიკა ესმის, 7 თვეში ეკონომიკის აყვავება ცოტა ძნელი კი არა, აბსურდია".

მთავრობის ეკონომიკური გუნდი, პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით, ახალი ხელისუფლების ახალი ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთ სერიოზულ წინგადადგმულ ნაბიჯად ბიზნესის პოლიტიკური კონიუნქტურისგან გათავისუფლებას მიიჩნევს.

„ჩვენ გავათავისუფლეთ ეკონომიკა ჩარევისგან, კარტელური შეთანხმებებისაგან და ადეიზმისაგან. მართული და სააკაშვილის მიერ დანიშნული ბიზნესმენებით ვერ აყვავდება ეკონომიკა. ეს წინააღმდეგობაში მოდის ყველანაირ კანონებთან," — განაცხადა ივანიშვილმა.

ბიძინა ივანიშვილის ინფორმაციით, წინა მთავრობამ არამიზნობრივად 923,7 მილიონი ლარი დახარჯა. პრემიერ-მინისტრის პრესსამსახურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში აღნიშნულია, რომ ქუთაისში საპარლამენტო კომპლექსის მშენებელობაზე 344 მლნ ლარი დაიხარჯა; თბილისში რიყეზე ახალი თეატრის მშენებლობაზე — 70 მლნ ლარი; ბათუმში ანბანის კოშკის და „ბათუმი თაუერის" მშენებლობა — დაიხარჯა 60-60 მლნ ლარი; ანაკლიის აკვაპარკის მშენებლობაზე — 25,3 მლნ, ხოლო ანაკლიის საფეხმავლო ხიდის მშენებლობაზე — 11,5 მლმ ლარი. ანაკლიის ახალი სანაპირო ბულვარისა და ამფითეატრის საზეიმო გახსნა 800 ათას ლარამდე დაჯდა. დაბა მესტიაში თამარ მეფის ქანდაკების დადგმისათვის 1,2 მლნ ლარი იყო გადახდილი. ორ წელიწადში მხოლოდ საახალწლო ღონისძიებებზე 13,5 მლნ ლარი დაიხარჯა.

სწორედ ზემოაღნიშნული და ანალოგიური პროექტები მიაჩნია ივანიშვილს წინა ხელისუფლების ეკონომიკური ზრდის ხელოვნურობის საფუძვლად. პრემიერ-მინისტრი ეხმაურება EBRD -ის პროგნოზსაც, საქართველოს ეკონომიკური ზრდის შემცირების შესახებ და აღნიშნავს, რომ ამაში „საგანგაშო არაფერია" და რომ „ეს სავსებით ნორმალურია".

ფინანსთა მინისტრი **ნოდარ ხადური,** თავის მხრივ, ირწმუნება, რომ ევროპის განვითარების და რეკონსტრუქციის ბანკმა ეკონომიკური ზრდის პროგნოზი არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ მსოფლიოში შეამცირა:

„ევროპის განვითარების და რეკონსტრუქციის ბანკმა თავისი პროგნოზი შეამცირა მთელს მსოფლიოში. მინდა, გითხრათ, რომ მისი გათვლებით, საქართველოში უფრო მეტად ზრდადი ეკონომიკა იქნება, ვიდრე ნებისმიერ ჩვენს მეზობელ ქვეყნებში."

ბიძინა ივანიშვილისა და მისი ეკონომიკური გუნდის წარმომადგენლების განცხადებას არ უარყოფს არცერთი ექსპერტი. ბუნებრივია, 7 თვე არასაკმარისია იმისათვის, რომ მნიშვნელოვან ეკონომიკურ მიღწევებზე ვისაუბროთ, მაგრამ საუბრობენ იმ ტენდენციებზე, რასაც მთავრობამ ყურადღება უნდა მიაქციოს.

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, ქუთაისის უნივერსიტეტის სრული პროფესორი **გოჩა თუთბერიძე** „**P.S.**"-თან ექსკლუზიურ ინტერვიუში ეკონომიკური ზრდის შემცირების მიზეზებზე საუბრობს. „ქვეყანაში არის დეფლაცია. დეფლაცია იყო 2012 წლის განმავლობაში და გრძელდება მიმდინარე წელსაც. ეს შედეგია იმ ფინანსური კრიზისისა, რაც განხორციელდა 2008 წელს მთელს მსოფლიოში და, ასევე, საქართველოში. დეფლაციიდან გამოსავალია ის, რომ მთავრობამ უნდა დახარჯოს ბევრი ფული. ანუ საჭიროა ფისკალური და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ჰარმონიულად განხორციელება, რათა გაიზარდოს ბიზნეს-აქტივობა. ამას მოჰყვება მომხმარებლის გააქტიურება, მოთხოვნის ზრდა, რაც იქნება სიგნალი ბიზნესისთვის, აწარმოოს მეტი პროდუქცია, რაც თავისთავად მეტ ინვესტიციებსა და მეტ სამუშაო ადგილს გულისხმობს.

საქართველოში ახლა არის არაორდინარული სიტუაცია. მონეტარული ორგანოები (საქართველოს ეროვნული ბანკი და ეროვნული ბანკის საბჭო), ფაქტობრივად, ოპოზიციაში არიან მთავრობასთან. მთელი 2012 წლის განმავლობაში ისინი ატარებდნენ არაადეკვატურ პოლიტიკას, რასაც აგრძელებენ დღესაც. მთელი ამ ხნის განმავლობაში არაადეკვატურად მაღალი იყო რეფინანსირების განაკვეთი და ახლაც მაღალია. ასევე მაღალია მოთხოვნები მინიმალური რეზერვების მიმართ. ეს იმ ვითარებაში, როცა ეკონომიკაში ფულის ნაკლებობაა. თუმცა, უნდა ითქვას, რომ დეფლაციის პირობებში ეკონომიკის ფულადი რესურსებით მომარაგების გაზრდა არ არის პანაცეა და ის არ გამოიწვევს მოთხოვნის, აქედან გამომდინარე, ფასების ზრდას, რაც პოზიტიური სიგნალი იქნებოდა ბიზნესისთვის, რათა დაძლეულიყო ფასების შემცირების მოლოდინი.

ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში **დემურ გიორხელიძე** ბიზნესის პასიურობაზე საუბრობს.

მისი განმარტებით, „საჭიროა ქმედითუნარიანი სამინისტროები და მოქმედება ერთიანი სტრატეგიის ფარგლებში. უნდა შემუშავდეს ეკონომიკური განვითარების სტრატეგია მთავრობისა და ყველა სამთავრობო უწყებისთვის. მართალია, სერიოზული ბიზნესჯგუფების გაჩენას საკმაო დრო უნდა, მაგრამ რაც უფრო სწრაფად შეუწყობს ხელს მთავრობა ახალი სუბიექტების გაჩენას, მით უკეთესი იქნება ქვეყნის ეკონომიკის ზრდა-განვითარებისთვის. აუცილებელია, ასევე, ცვლილებები საბანკო სფეროში, რადგან ბანკები პასიურობით ხელს უწყობენ იმას, რომ ვითარება ეკონომიკაში გამწვავდეს."

ეკონომისტის **ირაკლი ლექვინაძის** თქმით, ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც ახალი ხელისუფლების პირობებში მოხდა, არის ბიზნესის გათავისუფლება პოლიტიკური კონიუნქტურისგან და კონკურენციის ხარისხის ზრდა რიგ სექტორებში.

„ჩემი აზრით, ხელისუფლების ეკონომიკური გუნდის მხრიდან საჭიროა უფრო აქტიური ქმედებები, რომ ზრდის ტემპის შეჩერებამ არ მიიღოს მუდმივი ხასიათი," — აღნიშნავს ლექვინაძე.

ექსპერტთა ნაწილი ახალ ხელისუფლებას თვითდაჯერება-თვითდაიმედებისგან თავის შეკავებას ურჩევს. სწორედ რომ დაიმედებულია ქვეყნის პრემიერ-მინისტრი, როდესაც ამბობს, რომ მომდევნო წელი ახლანდელზე უკეთესი, იმის შემდგომი კი უფრო უკეთესი იქნება. მეორე წელს დავინახავთ ეკონომიკური ზრდის ნიშნებს, მესამე წელი იქნება კარგი, მეოთხე კი უფრო კარგი," — აცხადებს ივანიშვილი.

ნატო პერანიძე

ვირთხებთან გაყოფილი „საყარაულო"

ქუთაისის მერიამ საბინაო ფონდისათვის შენობების აღწერა დაიწყო

შემთხვევით აღმოვაჩინე მოქალაქე, რომელიც ყოფილ საგრენაჟო ქარხნის მცირე ზომის, ნახევრად დანგრეულ „საყარაულოში" ცხოვრობს...

ჟუჟუნა ჩუბინიძე საცხოვრებელი ოთახის წინ, მეგობრებთან ერთად, სადილს მიირთმევდა. როგორც ერთ-ერთმა იქ მყოფმა განაცხადა, „საყარაულოს" ბინადარი ეზოში სადილის სუფთა ჰაერზე მისართმევად კი არ იყო გამოსული, არამედ ოთახის ფართის სიმცირის გამო, იქ დღე და ღამე ვირთხები დარბიან...

როგორც გაირკვა, ქუთაისელი ჟუჟუნა ჩუბინიძე ავტოქარხნის ყოფილი მუშაა, რომელსაც ბინის არ არსებობის გამო სამადლოდ უხდებოდა ცხოვრება, ბოლოს კი საგრენაჟო ქარხნის „საყარაულოში" დასახლდა. ჩუბინიძე წლების განმავლობაში ადგილობრივი ხელისუფლებიდან ბინას უშედეგოდ ითხოვს.

საგრენაჟო ქარხანაში, გარკვეული პერიოდის წინ, საქართველოს რესპუბლიკის ფირმა „აუდიტს" ერთი ოთახი ეკავა. „აუდიტის" შენობიდან გადასვლის შემდეგ, ჟუჟუნა ჩუბინიძემ მოითხოვა დაკარიელებულ ოთახში შესვლის უფლება მიეცათ, რაზედაც ამ სამსახურის წარმომადგენლებმა უარი განუცხადეს და ოთახი საგანგებოდ ჩარაზეს.

ამ დროისათვის ქუთაისში რამდენიმე ასეული უსახლკარო, ბინის მოლოდინში, სხვადასხვა მიტოვებულ შენობაში ცხოვრობს. ქალაქის მასშტაბით არსებული, მიტოვებული და დაუსრულებელი ბინებისა და შენობების აღწერისას და სოციალურად დაუცველთათვის მათი გადაცემის მოთხოვნით მიმართა საკრებულოს ერთ-ერთ სხდომაზე ფრაქცია „ქართული ოცნების" თავმჯდომარემ მამუკა მღვდელაძემ. მან მოითხოვა, ქალაქის მერიის კუთვნილებაში და ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზე არსებული მსგავსი ტიპის შენობები აიღწეროს და შეიქმნას მერიის საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახურის დაქვემდებარებაში არსებული საბინაო ფონდი.

მამუკა მღვდელაძე, ქუთაისის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების" თავმჯდომარე (გაზეთ „P.S."-თან საუბრისას): „საბინაო ფონდთან დაკავშირებით ჩვენ სერიოზული პრობლემა გვაქვს. დღეს არ არის კომუნისტური წყობა, როდესაც ხელისუფლება ვალდებული იყო, ადამიანები დაეკმაყოფილებინა ბინებით. სიახლე არაა, რომ მერიაში ხშირად მოდიან მოქალაქეები, რომელთაც გაუსაძლის მდგომარეობაში, ფაქტობრივად, ქუჩაში უწევთ ცხოვრება... სახელმწიფო ვალდებულია, მათ მიმართ გარკვეული პასუხისმგებლობა აიღოს, შექმნას საბინაო ფონდი. არის ქალაქში ამის რესურსი, მრავალი მიტოვებული და დაუსრულებელი შენობაა, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნას სოციალურად დაუცველებისა და დევნილებისათვის. მთავარია მათი კარგად აღწერა მოხდეს. ის შენობები, რომლებიც არ არის ქალაქის ბალანსზე, მოვითხოვოთ, გადმოეცეს ქუთაისის ადგილობრივ თვითმმართველობას და უკიდურესად გაჭირვებულ ას ოჯახს მაინც დავეხმაროთ. შესაძლებელია, ფართი დროებით ან მუდმივ საცხოვრებლად გადაეცეთ სოციალურად დაუცველებს. ეს გარკვეული სახის ორგანიზებას მოითხოვს, თუმცა ნამდვილად შესაძლებელია."

„P.S.ფოტო" (ნესტან ჩაგელიშვილი) ©

რამდენად გაითვალისწინა ქუთაისის მერიის საბინაო სამსახურმა მღვდელაძის ინიციატივა და რა კატეგორიის მოქალაქეები მიიღებენ ფართებს ქალაქის თვითმმართველობიდან, ამის შესახებ მერიის საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახურის ხელმძღვანელმა **კახაბერ ხვარეშიამ** გვიპასუხა:

„ბატონი მამუკა ამ შემთხვევაში სწორად საუბრობს იმ საკითხებზე, რაზედაც ჩვენ გარკვეული პერიოდის წინ ვიყავით შეთანხმებულნი. მართლაც მძიმე მდგომარეობაა ამ კუთხით. ჩვენს სამსახურში 1400 მოქალაქის განაცხადია შემოსული და ისინი საცხოვრებელი ფართებით დაკმაყოფილებას ითხოვენ. გვესმის, რომ ძალიან რთულია ამ ადამიანების მდგომარეობა და დახმარებას საჭიროებენ. თუ დაიწყება მუშაობა საბინაო ფონდის შესაქმნელად, რა თქმა უნდა, ჩვენ ვიქნებით მათ გვერდით. ეს არაა მარტივი პროცესი და, რომელიმე სამსახურის ხელმძღვანელი ერთპიროვნულად ვერ გადაწყვეტს, ეს საკითხი განხილული და დამტკიცებული უნდა იქნას მერის მიერ. მეორე საკითხს რაც შეეხება, მე თითქმის დასრულებული მაქვს იმ შენობების აღწერა, რომლებიც შესაძლებელია გამოყენებული იქნას ამ ფონდისათვის. მომავალ სხდომაზე, ალბათ, უკვე მივმართავ საკრებულოს წერილობით და მივაწოდებ იმ შენობების სიას, რომელიც, ჩვენი აზრით, თავისუფალია, (საბუთებით ვერ ვფლობთ ინფორმაციას, ეს არის საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში დაცული მასალა). შემდგომი პროცესი იქნება ის, რომ ქალაქის მერიისა და საკრებულოს მიერ ოფიციალურად იქნება გამოთხოვილი ეკონომიკის სამინისტროსგან ინფორმაცია, თუ ვის ბალანსზეა სიაში მოხვედრილი შენობა-ნაგებობები. თუ კი აღმოჩნდება, რომ ეს შენობები ეკონომიკის სამინისტროს საკუთრებაა, მაშინ ვთხოვთ სამინისტროს, ქალაქის განვითარებისთვის და მოქალაქეების ფართების დაკმაყოფილების მიზნით, აღნიშნული შენობები გადმოსცეს ქუთაისის მერიას საბინაო ფონდში ჩასარიცხად.

— სავარაუდოდ, ქალაქში არსებული რომელი შენობები მოხვდება ამ სიაში?

— ზუსტად ვერ გეტყვით, რადგან არ მინდა დაუზუსტებელი ინფორმაცია გავავრცელოთ, ვინაიდან, შესაძლებელია, ამ შენობებიდან რომელიმეში მოსახლეობა თვითნებურად შევიდეს, როგორც ეს მოხდა სამხატვრო სკოლის შენობასთან დაკავშირებით. რამდენიმე შენობა გვაქვს ქალაქში, რომელიც დარჩა დაუსრულებელი ან სარემონტო სამუშაოების მოლოდინში, ასევე შენობები, რომლებიც განკუთვნილი იყო სხვა პროექტებისათვის და დროებით მოხდა მათი დაცლა გარემონტების მიზნით. თუნდაც იგივე სამხატვრო სკოლა იმისათვის გავათავისუფლეთ, რომ რემონტი ჩაგვეტარებინა, მაგრამ 15-მდე სოციალურად დაუცველი ოჯახი თვითნებურად შესახლდა და ფართები მიისაკუთრეს.

— ყველა შემოსულ განაცხადს დააკმაყოფილებთ?

— ყველა განაცხადს ვერ დავაკმაყოფილებთ, ვინაიდან სია საკმაოდ დიდია. არის ფაქტები, როდესაც მოსახლეობა, უბრალოდ, გაფართოების მიზნით მოითხოვს ფართის დამტკიცებას. ამიტომ, რომ არ მოხდეს ფართების არასწორად გადანაწილება, შესაძლებელია, ქალაქის მერის მიერ შეიქმნას 20 კაციანი კომისია, რომელშიც მერიის და საკრებულოს თანამშრომლებთან ერთად, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები და იურისტები იქნებიან. ასევე, მონიტორინგისათვის ჩავრთავთ ადგილობრივ ჟურნალისტებსაც. განვიხილავთ ყველა შემოსულ განაცხადს და პრიორიტეტები იმ ადამიანებს მიენიჭებათ, რომლებსაც უკიდურეს გაჭირვებაში უწევთ ცხოვრება.

— რაც შეეხება საგრენაჟო ქარხნის „საყარაულოში" მცხოვრებ მოქალაქეს, მან მოითხოვა ქარხნის შენობაში ერთი ოთახის გამოყოფა, რის შესახებაც არაერთხელ აცნობა ადგილობრივ ხელისუფლებას, თუმცა უარი მიიღო. ფლობთ თუ არა ამის შესახებ ინფორმაციას და რამდენად შესაძლებელია, ეს შენობაც მოხვდეს მერიის საბინაო ფონდში?

— კონკრეტულად ამ პიროვნების შესახებ ინფორმაცია არ მაქვს, მაგრამ რაც შეეხება ქარხანას, მგონი, ეს შენობა კერძო საკუთრებაშია და, შესაბამისად, მისი გასხვისების უფლება ჩვენ არ გვაქვს. ხშირია შემთხვევა, როდესაც ანალოგიურ შენობებში უნებართვოდ შედის მოსახლეობა და რამდენიმე წლის შემდგომ ითხოვენ ამ შენობების საკუთრებაში გადაცემას, რაც, ფაქტობრივად, შეუძლებელია.

ნესტან ჩაგელიშვილი

ქუთაისელმა დეპუტატმა საკუთარი ამომრჩევლის პრობლემები არ იცის

რუსთაველის გამზირის 97 ნომრის მცხოვრებლები საკუთარ მაჟორიტარ დეპუტატს კახაბერ ნემსიწვერიძეს უყურადღებობაში ადანაშაულებენ.

როგორც კორპუსის მცხოვრებლები აცხადებენ, გაუქმებული საკანალიზაციო ჭების და უკანონო მიშენებების გამო, მათ ეზოში გაუსაძლისი მდგომარეობაა. თუმცა, არაერთი მიმართვის მიუხედავად, დეპუტატი და შესაბამისი სამსახურები მათი პრობლემებით არ ინტერესდებიან.



„P.S.ფოტო" (ნესტან ჩაგელიშვილი) ©

დარეჯან მანაგაძე, კორპუსის მცხოვრები: „ეს საკანალიზაციო ჭები მოძველებულია და შეცვლას საჭიროებს, მაგრამ მილების გამოცვლა კი არა, გაწმენდაც ვერ ხდება, რადგან პირველ სართულზე შესულმა „ელიტ ელექტრონიქსის" მაღაზიის ფართის მესაკუთრემ და ბანკმა „კონსტანტამ", შემოსვლის დროს, ჩვენს კორპუსში ეზო იყიდეს და გაფართოვდნენ. ამის გამო ეს ჭები შენობების ქვემოთ მოჰყვა და გარეთაც არ გამოიტანეს. ერთი თვის წინ გაიჭედა ჭები, ყურადღება რომ არავინ მოგვაქცია, მოვიყვანეთ სპეციალური მანქანა გასაწმენდად, მაგრამ ჭები ისე დაბლაა დარჩენილი, იქ შესვლა და გაწმენდა ვერ მოხერხდა. მერიაშიც მივედით, ერთი-ორჯერ დაგვეხმარა შესაბამისი სამსახური, მაგრამ ყოველთვის ვერავინ დაგვეხმარება. თავიდანვე, ბინის მომატებები რომ წავიდა, პირველი სართული კი არა, მეორე სართულიც ემატებოდა. ეს ჭები მაშინვე უნდა გამოტანილიყო და არქიტექტურის სამსახურს თავის დროზე არ უნდა გაეცა გაფართოების ნებართვა. მარტო ჭის პრობლემა არ გვაქვს, ამ ბინების გაფართოების გამო ეზო არ დაგვრჩა. მთავარი არქიტექტორი, კაბინეტში რომ ზის, გამოვიდეს და ნახოს, რა დღეში ვართ. როგორც ჩანს, საბუთებს ისე აწერენ ხელს, არც კითხულობენ! რომ დავურეკეთ, გვიპასუხა — დამავალოს მთავრობამ და გავაკეთებო. მთავრობამ თუ არ დაავალა, არ უნდა გააკეთოს? ჩვენს ეზოს ვუვლიდით, მაგრამ ახლა ისეთი მდგომარეობაა, საერთოდ არავის უნდა ეზოში ჩასვლა. მდინარესავით მიედინება კანალიზაციიდან გადმოსული წყალი და მთავარ ქუჩაზე გადის. ფანჯრებს ვერ ვაღებთ, ისეთი საშინელი სუნია, ნაგვითაა სავსე მთელი ეზო. ხანძარი რომ გაჩნდეს, ისე მცირე ფართობია დარჩენილი, სახანძრო მანქანა ვერ შემოვა."

ნანა ხომერიკი, კორპუსის მცხოვრები: „ჩვენს მაჟორიტარს კახა ნემსიწვერიძეს დავურეკეთ და დახმარება ვსთხოვეთ, მაგრამ ამ საქმეზე რეაგირება — ნოლი. მეორედაც დავურეკე; გვითხრა, მოვალო, მესამედ კი საერთოდ არ უპასუხა ტელეფონს და იმიზეზებს, რომ დრო არ აქვს. რისი დრო არ აქვს — თავის ამომრჩევლებთან რომ მოვიდეს და ყურადღება მოგვაქციოს? ბანკმა თვითონ გაწმინდა, თვითონაც შეაწუხა წყალმა — შევიდა მაგათ ფართშიც. მაგრამ თუ მთავრობამ არ მოგვაგვარებინა, ასე, სხვის იმედად, როდემდე ვიქნებით."

პრობლემასთან დაკავშირებით სხვადასხვა ვერსია აქვთ „ელიტელექტრონიქსის" მაღაზიის მენეჯერსა და ბანკ „კონსტანტას" წარმომადგენელს.

„ეს პრობლემა უკვე მოგვარდა, ერთი კვირის წინ იყვნენ მოსულნი და გაწმინდეს ჭები. საერთოდაც, სიმართლე არაა, თითქოს დალუქულიაო. შესაძლებელია შესაბამისი ტექნიკის მიყვანა, ჩასვლა და გაწმენდა. ჩვენგან არ მოდის ეს პრობლემა და, საერთოდაც, მიკვირს, რატომაა ეს მაღაზია ჩართული ამ პროცესში, ვინაიდან ჩვენ არაფერ შუაში ვართ," — აღნიშნა ჩვენთან საუბრისას მაღაზიის მენეჯერმა **სოფო ვაშაყმაძემ.**

ვინაიდან მაღაზია ფართში ქირითაა შესული, ამიტომ შენობის გაფართოების ნებართვასთან დაკავშირებით ინფორმაციის მოპოვებას ბინის მეპატრონესთან შევეცადეთ.

„ეს ფართი რამდენიმე წლის წინ მოძღვრისგან შევიძინე ამ მდგომარეობაში, როგორშიც ახლა არის. მიშენება უკვე იყო, ამიტომ არ ვიცი, ნებართვა ვინ გასცა, მაგრამ, როგორც ხდებოდა ადრე, მიშენებები, ეტყობა, იმ სიტუაციაშია გაფართოებული. საკუთრებაში კი გვაქვს ფართები, მაგრამ საჯარო რეესტრში არაა გატარებული: ერთი პიროვნება ვერ დაიკანონებს, ყველამ უნდა გამოთქვას სურვილი, აიკრიბა კიდეც ფული, მაგრამ შემდგომ არაფერი გაკეთებულა. რაც შეეხება უშუალოდ ჭებს, მე თვითონ ვითხოვდი გარეთ გამოტანას და დახმარებას, მაგრამ ადგილობრივებიდან არავინ დაგვხმარებია. რამდენჯერმე ჩემი ხარჯებით გავწმინდე და ყოველთვის მე ვერ მოვახერხებ. საყოფაცხოვრებო ნივთებით იყო სავსე ჭა და მაღაზიაში მსგავსი არაფერია. საერთოდ, არ ვიცი, ბანკში რა მდგომარეობაა, მაგრამ ხელის შეწმენდა უშუალოდ ჩვენზე არ უნდა ხდებოდეს," — აღნიშნა ბინის მესაკუთრემ **კოტე ფაჩუაშვილმა**.

მაღაზიისგან განსხვავებით, პრობლემის წყაროს თავად „ელიტელექტრონიქსის" მაღაზიას მიიჩნევს **ბანკის წარმომადგენელი,** რომელმაც ხელმძღვანელობასთან შეთანხმების გარეშე არც კომენტარის ოფიციალურად ჩაწერა და არც ვინაობის გამხელა ისურვა, გასაუბრების დროს კი აღნიშნა:

„ბანკი არაფერ შუაშია, პირიქით — ჩვენ დავზარალდით და ჩვენ მოვიყვანეთ მანქანა გასაწმენდად. დიდი კამათის შემდეგ მაღაზია დავარწმუნეთ, რომ პრობლემა უშუალოდ მათგან მოდიოდა და გაღებული ხარჯის ნაწილი უნდა დაეფარათ. იცით, როგორი სიტუაციაა? ვინაიდან ჩვენ კერძო საკუთრებაში ვიმყოფებით და მაღაზია კი ქირითაა, აქცენტი, რატომღაც, ყოველთვის მეპატრონეზე კეთდება, რაც არასწორია. გასაკვირია ის ფაქტიც, თუკი პრობლემის მიზეზები ჩვენ ვართ, ეს მოსახლეობა ჩვენ რატომ არ მოგვმართავს? აშუქებენ ინფორმაციას და ჩვენ არაფრის თქმის საშუალებას არ გვაძლევენ. იმ დღესაც ტელევიზია ჰყოლიათ და ჩვენთვის არავის მოუმართავს. ვინაიდან ჩვენ ვწუხდებით, ყველა პრობლემას ჩვენ ვაგვარებთ: ამ კორპუსში ხან ჭა გაიჭედა, ხან წყალი არ იყო და ხანაც დენს ითხოვენ. ერთმანეთთან დაპირისპირებულ ყველა მეზობელს თავისი მოთხოვნა აქვს და მათ ნამდვილად ვერ ავუვალთ. გაუსაძლისი სუნის გამო ეგენი კარებს მაინც დახურავენ და მე ბანკის კარს ხომ არ დავკეტავ?"

საკუთარი ამომრჩევლების პრობლემებსა და მათ მოთხოვნაზე ინფორმაციას არ ფლობს გამარჯვების მუნიციპალიტეტის მაჟორიტარ-დეპუტატი **კახა ნემსიწვერიძე:** „არ ვიცი, რა ხდება, ამ საკითხთან დაკავშირებით, და საერთოდაც, მაგ კორპუსიდან არავინ დამკავშირებია და დახმარებაც არავის უთხოვია. მე მაინც არ მესმის, რა შუაში ვარ, თუ იქ რაიმე არის აშენებული! ისე, კი მივალ და გავიგებ, რა ხდება," — აღნიშნა „P.S."-თან საუბრისას ნემსიწვერიძემ.

იმის გარკვევას, თუ რამდენად სამართლიანადაა გაცემული არქიტექტურის სამსახურის მიერ მიშენებებსა და ფართების გაზრდაზე ნებართვა, სამსახურის ხელმძღვანელთან შევეცადეთ.

ვასილ მებურიშვილი, მერიის არქიტექტურის სამსახურის ხელმძღვანელი: „პირადად ჩემს მიერ არაა ნებართვა გაცემული რუსთაველის გამზირის 97 ნომერ კორპუსში მდებარე ბანკისა და მაღაზიის გაფართოებასთან დაკავშირებით. ვინაიდან ახლა უკვე დასრულებულია, ეგ უკვე ზედამხედველობის სამსახურის პროგრატივაა. მოსახლეობამ უნდა მოიძიოს ის პროექტი, რომლის მეშვეობითაც მოახდინეს გაფართოება. რა თქმა უნდა, ჭები არავითარ შემთხვევაში არ უნდა დარჩენილიყო შენობის ქვეშ და, ალბათ, პასუხისმგებელი ისაა, ვინც ამ სამუშაოებს აწარმოებდა და ვინც ჭები გარეთ არ გამოიტანა. ის ფაქტი კი, თითქოს მოსახლეობას ვუპასუხე, რომ პრობლემას მხოლოდ მთავრობის დავალების შემდეგ მოვაგვარებდი, არასწორია და აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით მე არავინ დამკავშირებია."

ნესტან ჩაგელიშვილი

სადაც მანგანუმის რეწვა მიმდინარეობს, წყალი და ჰაერი მოწამლულია...

ინტერვიუ ჭიათურის მაჟორიტარ დეპუტატ მალხაზ წერეთელთან

„ბ.ს.ფოტო" (ირინა აბაშანდაძე) ©

მიუხედავად რესურსებით სიმდიდრისა, ჭიათურა პრობლემებით დახუნძლული რეგიონია. როდის მოხდება მნიშვნელოვანი საკითხების მოგვარება, ჯერ კიდევ გაურკვეველია. მართალია, ჭიათურას ახალი ხელისუფლება ჰყავს, მაგრამ ადგილობრივი თვითმმართველობა თითქმის უუფლებოა იმ საკითხების მოგვარების საკითხში, რომლებიც ყველა ჭიათურელს აწუხებს. ჭიათურის მანგანუმის საბადოები, მანგანუმის წარმოება, ეკოლოგია, ინფრასტრუქტურული მეურნეობა, — ყველაფერი მისახედია, მაგრამ ამის შესაძლებლობა ჭიათურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციას ნამდვილად არ აქვს. ჭიათურის გამგეობა და მაჟორიტარი დეპუტატი ამ დრომდე ინარჩუნებენ საიმედო ხელისუფალთა იმიჯს, რადგან ადგილობრივ მოსახლეობას კარგად ესმის, ახალი ხელისუფლება ბრალში არ არის იმის გამო, რომ გასული ცხრა წელი მათთვის ამქვეყნიური ჯოჯოხეთის ტოლფასი იყო.

ჭიათურაში არსებულ პრობლემებზე „პოსტსკრიპტუმს" მაჟორიტარი დეპუტატი **მალხაზ წერეთელი** ესაუბრა.

— ბატონო მალხაზ, თქვენი სპეციალობიდან გამომდინარე, მინდა დაგისვათ პირველი კითხვა: შეიცვალა რამე ჯანმრთელობის დაცვის კუთხით ჭიათურაში?

— სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ის მდგომარეობა გვაქვს, როგორიც იყო 1 ოქტომბრის არჩევნებამდე. ის საავადმყოფო, რომელიც „ჯეოჰოსპიტალსს" ეკუთვნის, ძალიან მცირეა იმხელა მუნიციპალიტეტისათვის, ჩვენი რომ არის. ჯერ კიდევ მაშინ, როცა დაზღვევა არ იყო საყოველთაო, მაშინაც არ გახლდათ საკმარისი და ახლა, როცა საყოველთაო დაზღვევა ამოქმედდება, უბრალოდ, მარტივი გასაგებია, რომ „ჯეოჰოსპიტალსი" ვერ უზრუნველყოფს პაციენტების მიღებასა და მომსახურებას. ყველა დაიფაროს ღმერთმა, მაგრამ ორი სამარშრუტო ტაქსის ავარიის შემთხვევაშიც კი ვერ მიიღებს პაციენტებს ჩვენი „ჰოსპიტალსი". ისე, რატომ არ გაითვალისწინეს წინა ხელისუფლების დროს, რომ ჭიათურას, დაახლოებით, 4 ათასამდე მაღაროელი ჰყავს?! ორი უზარმაზარი საავადმყოფო, რომელიც კომუნისტურ ეპოქაში ემსახურებოდა ჭიათურას, ნამდვილად შეიძლებოდა კვლავ დარჩენილიყო ხალხის სამსახურში. მხოლოდ რემონტი დასჭირდებოდა იმ უზარმაზარ შენობებს და ქალაქს სრულყოფილი სამედიცინო სერვისის შესაძლებლობა ექნებოდა.

— ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა ჭიათურის მანგანუმია. წესით, ეს რესურსი ჭიათურისთვის წარმატების მომტანი უნდა ყოფილიყო, მაგრამ მანგანუმის რეწვამ სინამდვილეში მოიტანა მძიმე ეკოლოგიური და სოციალური პრობლემები.

— „ჯორჯიანმანგანეზის" საკითხი ისევ ბუნდოვანია. მარტში ეს უზარმაზარი წარმოება კვლავ გასხვისდა, თუმცა მენეჯმენტი ისევ ის დარჩა. ბუნებრივია, არსებობს კითხვები ამის გამო, მაგრამ საქმე ის არის, რომ ჯერ ვერაფერი შევცვალეთ რადიკალურად. ჭიათურის მანგანუმის წარმოება გაკოტრების მმართველისაგან გაიყიდა, მაგრამ ნასყიდობის დოკუმენტი არსად ჩანს. შეიძლება, ეს დოკუმენტი არც არსებობდეს, რადგან მისი მოპოვება ვერავინ შეძლო ამ დრომდე.

— მანგანუმის რეწვაში დასაქმებულთათვის არანაირი პოზიტივი არ შეიმჩნევა ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ?

— ეკოლოგიური პრობლემები, რომელიც სწორედ მანგანუმის რეწვას მოჰყვა, ადვილი დასაძლევი არ არის. ერთი წუთითაც არ შეიძლება, რომ წარმოვიდგინოთ ჭიათურა სამთომოპოვებითი მრეწველობის გარეშე. სოფელ მღვიმევში, რომელიც ქალაქის ახლოს მდებარეობს, 237 ოჯახია სწორედ მანგანუმის მოპოვების გამო რთულ მდგომარეობაში. მძიმე მეტალური მტვერი, უწყლობა, დაბალი ძაბვის ელექტროენერგია, უგზოობა სოფელს გაუსაძლის მდგომარეობაში აყენებს. სოფლის საინიციატივო ჯგუფთან ერთად შევხვდი „ჯორჯიანმანგანეზის" წარმომადგენლებს და მათ პირობა დადეს, რომ რიგ პრობლემებს მოაგვარებს. სამოქალაქო აქტივობა, ალბათ, პოზიტიურ შედეგამდე მიგვიყვანს, მარტო მუნიციპალიტეტის გამგებელი ან დეპუტატი ვერაფერს გადაწყვეტს. საზოგადოებამ უნდა იტვირთოს თავისი წილი პრობლემების გადაწყვეტაში.

— წინა წელს, სექტემბერში, 1000 ოჯახის ფერმერული მეურნეობა დაისეტყვა, მათი კონპენსირება მოხერხდა?

— წინასაარჩევნოდ ჭიათურის რამდენიმე სოფელი დაისეტყვა, დაახლოებით, 1000 ოჯახი დაზარალდა. ვისთვისაც სოფლის მეურნეობა ოდნავ მაინც არის გასაგები, მიხვდება, თუ რას ნიშნავს თითქმის მოწეული მოსავლის დასეტყვა. წინასაარჩევნოდ, ხალხის გულის მოსაგებად, სწრაფად შეიქმნა კომისია, რომელსაც დაევალა ზარალის დათვლა. თუმცა, კომისია არ იყო მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებით შექმნილი და იურიდიული ძალაც არ აქვს იმ კომისიის დასკვნებს. შედეგი კი ის არის, რომ არაიურიდიული ძალის დოკუმენტაცია დევს ჩემს მაგიდაზე და ზარალის ანაზღაურების ბერკეტები ხელთ არ გვაქვს. ვმუშაობ ამ საკითხის მოგვარებაზე საკრებულოსა და მუნიციპალიტეტის გამგებელთან ერთად. ვფიქრობ, რომ პოზიტიურად გადავწყვეტთ ამ საკითხს.

— როგორი მდგომარეობაა, სოციალური თვალსაზრისით, ჭიათურაში?



მალხაზ წერეთელი

— სამწუხაროდ, სატრაბახოდ არ გვაქვს საქმე. მძიმე მდგომარეობაშია ჩვენი მოსახლეობა. დაბალი მატერიალური შემოსავლების გარდა, ჩვენთან, ეკოლოგიური პრობლემების გამო, სოციალური საკითხებიც მტკივნეულია. ყველგან, სადაც მანგანუმის რეწვა მიმდინარეობს, წყალი, ჰაერი და ფიტომასა მოწამლულია. დაუშვებელია ასეთ გარემოში ადამიანის ცხოვრება და მით უფრო — საკვების წარმოება-გამოყენება, მაგრამ იძულებულია მოსახლეობა, რომ გამოიყენოს მანგანუმით დაბინძურებული წყალი და სოფლის მეურნეობის პროდუქცია. პირად ტრაგედიად მიმაჩნია, რომ ჭიათურა იმერეთში პირველ ადგილზეა პენსიონერების, სოციალურად შეჭირვებულთა და მზრუნველობამოკლებული ბავშვების ოდენობით. ალბათ, ყველამ იცის, რომ ჯანმრთელობის სფეროს დაფინანსება გაიზარდა, ასევე სოციალური პაკეტიც უფრო სოლიდური გახდება.

— ე.წ. რეგრესის პენსიონერების საკითხი, როგორც იქნა, მოგვარდა. მახსოვს, რომ თქვენ ოპოზიციაში ყოფნის დროს ამ კატეგორიის პენსიონერებს გულშემატკივრობდით.

— მაღაროელები, რომლებიც საწარმოო ტრამვის გამო დასახიჩრდნენ, დაფინანსდებიან. მათგან ზოგიერთს ასაკობრივი პენსიაც არ ჰქონდათ, ტრამვირების გამოც არ იღებდა რაიმე შემწეობას. სავარაუდოდ, მარჩენალდაკარგულებიც (ჯამში 150 ადამიანი), რომლებიც ადრე ამ რეგრესის პენსიონერების კმაყოფაზე იყვნენ, მიიღებენ ე.წ. რეგრესის პენსიას.

— რატომღაც დაავიწყდა სახელმწიფოს, რომ, სამთოელების გარდა, რეგრესის პენსიონერები არიან სხვა წარმოებაში დასახიჩრებული ადამიანებიც. მაგალითად, სამშენებლო ობიექტებზე, ან მანქანათმშენებლობაში საწარმოო ტრამვირებულმა ადამიანმა რა დააშავა?!

— ამ ეტაპზე მხოლოდ სამთოელების საკითხია გადაწყვეტილი. იმედია, რომ სახელმწიფო თავის თავზე აიღებს პასუხისმგებლობასაც თქვენ მიერ წამოჭრილ საკითხზეც.

— ჭიათურაში არის უბნები, სადაც წყალმომარაგება არ არსებობს, გადაწყდება ეს საკითხი დროულად?

— ჩვენს ქალაქში 16 წყალსადენია. „ჭიათურმანგანუმს" 250 კილომეტრიანი წყალგაყვანილობა ეკუთვნის, ხოლო თავად ქალაქის „გაერთიანებულ წყალმომარაგებას" — მხოლოდ 51 კილომეტრი. ამ სისტემას სულ 43 ადამიანი ემსახურება და დასაქმებულებს ხელფასს „გაერთიანებული წყალმომარაგება" აძლევდა. ნარმანიას უწყება ჩაერთო ჭიათურის წყლის საკითხის მოგვარებაში და, იმედია, დროულად გადაწყდება ეს პრობლემა.

— ინფრასტრუქტურულად რა პოზიტივებს უნდა ველოდოთ ჭიათურაში?

— 3,5 მილიონი გამოყოფილია გზებისა და სხვა საკითხების მოსაგვარებლად. წელს ჭიათურის მუნიციპალიტეტში მოიმატებს ასფალტირებული და ინერტულმასალიანი გზები. ამის გარდა, 10 სკოლის სრული რემონტი ჩატარდება, ხოლო სხვა სკოლები მიიღებენ 750 ათასლარიან სუბსიდიას, რომელიც სამჯერ აღემატება შარშანდელ მონაცემს.

გაიცანით: კეთილშობილი ქუთაისელი კაცი!

აღდგომის წინა დღეებში, ბაზარში ყოფნისას, ჯიბიდან როგორღაც ამომვარდნია საფულე, რომელშიც დოკუმენტები და 100 ლარი მედო. დანაკარგი მხოლოდ მეორე დღეს შევამჩნიე. თანხას აღარ დავეძებდი, საბუთების დაკარგვამ უაღრესად შემაწუხა.

ის იყო, უნდა შევდგომოდი ახალ დოკუმენტებზე ზრუნვას, რომ 12 მაისს კარზე სრულიად უცნობი ადამიანი მოგვადგა. იგი აღმოჩნდა შპს „ფარის" ვეტერანი თანამშრომელი **ნიკოლოზ (კოლია) ცნობილაძე,** რომელმაც დაკარგული საფულე — უკლებლივ ყველა საბუთითა და 100 ლარით — კეთილი ღიმილით გადმომცა, თან მომიბოდიშა, რომ თავისი პირადი პრობლემების გამო დაუგვიანდა ბაზარში ნაპოვნი საფულის დაბრუნება. როგორც მასთან საუბრისას გავარკვიე, ასეთი შემთხვევა ბატონ კოლიას თურმე სხვა დროსაც არაერთხელ ჰქონია და პატრონებისათვის დაკარგული ნივთები ყოველთვის პატიოსნად დაუბრუნებია.

უსაზღვროდ ბედნიერი ვარ — არა მხოლოდ იმის გამო, რომ საფულე დამიბრუნეს, არამედ იმიტომაც, რომ ჩვენს რთულსა და წინააღმდეგობებით სავსე დროში თურმე ჯერ კიდევ ცხოვრობენ კეთილშობილი ადამიანები, რომელთაც თვალს არ სჭრით სხვათა ქონება, ყველაზე მაღლა აყენებენ პატიოსნებას და კაცთმოყვარეობას.

მადლობა კეთილ კაცს, ბატონ კოლია ცნობილაძეს, რომელმაც ასეთი სიხარული მაჩუქა.

ჯაბა ჭრელაშვილი,
№6 სტამბის თანამშრომელი

მეგა კრედიტი

Mega Credit

გთავაზობთ შემდეგ მომსახურებას:

- უჯარიმო, სალომბარდო სესხები ოქროს უზრუნველყოფით 2,5%-დან
- იპოთეკური სესხები
- ფულადი გზავნილები
- სავალუტო ოპერაციები

ასევე თქვენ გაქვთ საშუალება, განათავსოთ თქვენი ფულადი სახსრები დეპოზიტის სახით, რომელზეც დაგერიცხებათ მაღალი საპროცენტო სარგებელი.

„მეგა კრედიტის" ჭავჭავაძის გამზირზე მდებარე ფილიალში დამატებით შეგიძლიათ ისარგებლოთ „ლიბერთი ბანკის" მომსახურებით.

ქუთაისი, რუსთაველის 141 („ჰოჰულში"); (0 431) 27 52 45
ქუთაისი, ჭავჭავაძის 55/2 („მაკდონალდსთან"); (0 431) 27 67 10

როგორ გადაწყვიტა გიორგი ახვლედიანმა გამოჩენილი ადვოკატის ბედი

პატარა მოგონება დიდ მეცნიერზე

ცნობილი მოღვაწენი თბილისზე მოგონებისას საუკეთესო ხანად გასული საუკუნის 60-იან წლებს მიიჩნევენ ხოლმე. თუ ეს მართლაც ასეა, 1966-1971 წლებში სტუდენტობამ მომიწია და ამით ერთობ გამიმართლა.

მთელი საქართველო — რომლის ცენტრში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი იყო, იმჟამად იუბილეებმა მოიცვა. ეს იყო რუსთაველის, ბარათაშვილის და თვით უნივერსიტეტის მრგვალი თარიღები.

დროდადრო, პირველი კორპუსის შესასვლელში გამოკრული განცხადებები გვამცნობდა: „უნივერსიტეტის დაარსების 50 წელთან დაკავშირებით მოგონებებით გამოვლენ აკადემიკოსები: გიორგი ახვლედიანი, შალვა ნუცუბიძე, სიმონ ყაუხჩიშვილი და აკაკი შანიძე. ოთხივე მეცნიერი დასავლეთ საქართველოდან გახლდათ, მათ შორის ორი — წყალტუბოს რაიონიდან (შალვა ნუცუბიძე სოფელ ფარცხანაყანებიდან, გიორგი ახვლედიანი კი სოფელ დერჩიდან).

ჩვენ, დასავლეთ საქართველოდან წამოსული სტუდენტები, ვამაყობდით მსოფლიო დონის ამ მეცნიერებით.

აკადემიკოს გიორგი ახვლედიანთან ერთი მოგონება მაკავშირებს, რამაც ჩემზე წარუშლელი კვალი დატოვა.

ცნობილმა ადვოკატმა ჯამბაკურ ბაქრაძემ იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად სამეცნიერო საბჭოს წარუდგინა დისერტაცია თემაზე: „რუსთაველის სამართლებრივი მსოფლმხედველობა „ვეფხისტყაოსანში".

გიორგი ახვლედიანი

ხალხით გაჭედილ დარბაზში დისერტაციის დაცვამ ღამის 12 საათამდე გასტანა და მისი ჩავარდნით დამთავრდა.

დისერტანტმა თხოვნით მიმართა უნივერსიტეტის მაშინდელ რექტორს, აკადემიკოს ილია ვეკუას, მიეცა გაერთიანებულ სამეცნიერო საბჭოზე განმეორებითი დაცვის უფლება, რისი ნებართვაც მიიღო. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ გარდა იურიდიული ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოსი, დისერტაციის დაცვას სხვადასხვა ფაკულტეტის გამოჩენილი მეცნიერები დაესწრებოდნენ.

დაინიშნა დისერტაციის განმეორებითი დაცვის დღე. სააქტო დარბაზში მას სტუდენტებიც, მათ შორის — ჩემი მეგობარი ავთო წულუკიანი და მეც ვესწრებოდით. დაცვამ ორ დღეს გასტანა. მეცნიერთა ეს პაექრობა იყო ცოდნის ნამდვილი ფეიერვერკი. კათედრასთან ერთმანეთს ცვლიდნენ: ალექსანდრე ბარამიძე, პაატა გუგუშვილი, კორნელი დანელია, მათემატიკოსები, ფილოლოგები, ფილოსოფოსები... მათი არგუმენტირებული მოსაზრებების მოსმენა რუსთაველის მსოფლმხედველობის შესახებ ერთი დიდი სიამოვნება გახლდათ.

სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარეობდა გამოჩენილი ფიზიკოსი, აკადემიკოსი მათე მირიანაშვილი (შემდეგ გავიგე, რომ ისიც დერჩელი იყო).

მთავარი ოპონენტი მაშინ ჯერ კიდევ ახალგაზრდა პროფესორი, ამჟამად აკადემიკოსი, საერთაშორისო სამართლის სპეციალისტი ლევან ალექსიძე გახლდათ, დისერტანტი კი — მისი ყოფილი სტუდენტი.

ერთსაათიანი უარყოფითი რეცენზიის დასკვნით, ლევან ალექსიძემ, დაახლოებით, ასეთი რამ წარმოთქვა: „პატივცემულო სამეცნიერო საბჭოს წევრებო! რუსთაველის აფორიზმი — „ქმნა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმს ხმელსა ნედლად" — არ ნიშნავს იმას, რომ გენიალური რუსთაველი იურისტი იყო. ნუ დავაბრალებთ მას, რაც არ ყოფილა. ნუ მივაყენებთ ჩრდილს მის უკვდავ ხსოვნას. რაც შეეხება საერთაშორისო სამართალს, დისერტანტი აბსოლუტურ უვიცობას ამჟღავნებს."

საპასუხო სიტყვაში დისერტანტმა თავისი, სტუდენტობის დროინდელი ჩათვლის წიგნაკი უჩვენა საბჭოს წევრებს და ასე მიმართა მათ: „პატივცემულო საბჭოს წევრებო! მე წარმოგიდგენთ ჩემს ჩათვლის წიგნაკს, რომელშიც პატივცემულმა ოპონენტმა, პროფესორმა ლევან ალექსიძემ თავისი ხელით „ფრიადი" ჩამიწერა."

„ვნანობ, ბატონო ჯამბაკურ, რომ „ფრიადი" დაგიწერეთ!" — იყო ოპონენტის პასუხი.

მეცნიერთა გამოსვლების და კამათის შემდეგ, განრისხებული სახით, ფეხზე წამოდგა აკადემიკოსი გიორგი ახვლედიანი, მკაცრი მზერით გადახედა მეცნიერ-იურისტთა საბჭოს და წარმოსთქვა: „იქნებ იმის თქმა გსურთ, რომ რუსთაველმა სამართალი არ იცოდა?! რევოლუციამდელი, ნამდვილი პროფესორები დისერტანტს ცოდნით და ერუდიციით აფასებდნენ, რაც დღევანდელ დისერტანტს უთუოდ გააჩნია — და არა პირადი მტრობით! გრცხვენოდეთ, ბატონებო!"

ხალხით გაჭედილი სააქტო დარბაზი წუთიერმა სამარისებულმა მდუმარებამ მოიცვა, რომელიც შემდეგ მქუხარე ტაშმა დაარღვია.

უნივერსიტეტის გაერთიანებული სამეცნიერო საბჭოს ფარულმა კენჭისყრამ ჯამბაკურ ბაქრაძეს იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი მიანიჭა.

დღესაც თვალწინ მიდგას მაღალი, წარმოსადეგი გარეგნობის, ხელჯოხიანი მამაკაცი, რომლის ავტორიტეტულმა სიტყვებმა გადაწყვიტა დისერტანტის ბედი.

გამოჩენილი ადვოკატი ჯამბაკურ ბაქრაძე აქტიური მხარდამჭერი იყო ქართული ეროვნული მოძრაობისა. ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტობის დროს ის საქართველოს ადვოკატთა კოლეგიის თავმჯდომარედ იყო არჩეული. ეროვნული ხელისუფლების დამხობის შემდეგ, სამწუხაროდ, მალე გულის შეტევით გარდაიცვალა.

ელგუჯა ნემსაძე,
იურისტი

ჩვენი იმედის ნაპერწკალი

ბუნებისაგან უხვად დაჯილდოებული პიროვნული თვისებებით — გულისხმიერებით, ტოლერანტობით, ქველმოქმედებით; არაჩვეულებრივი ოჯახის მამა და საზოგადოებრივად აქტიური პიროვნება —ასეთი გახლავთ ჩვენთვის უსაყვარლესი ბატონი გოჩა თევდორაძე.

ჩვენ, უნარშეზღუდულ ბავშვთა მშობლებს, მისდამი განსაკუთრებული მადლიერების გრძნობა გვაქვს. ის მუდამ გვეხმარება და მხარში გვიდგას. იმიტომ კი არა, რომ პოლიტიკოსია და „საქმეში ჩაეთვლება"... არა, ის ბუნებითაა ასეთი: ღრმად მორწმუნე და კაცთმოყვარე. კარგად ესმის იმ ტკივილებისა, ჩვენ რომ გვაწუხებს.

ბოლო ერთი წელია, ხელისუფლებაში არ ჩანდა, ამან ჩვენ და ჩვენი შვილები შეგვაშფოთა, რადგან არ გვინდა, ასეთი გამოცდილი და ნიჭიერი კადრი ჩამოშორდეს ქუთაისის ყოველდღიურ ცხოვრებას. სხვათაშორის, მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლებაში არ ჩანდა, ის მუდამ იყო ჩვენს გვერდით და სიკეთეს არ იშურებდა. არადა, რაოდენ მტკივნეულიც არ უნდა იყოს ამის გაცხადება, ჩვენი შვილები მოკლებული არიან მთავრობის ყურადღებას. ამ დეფიციტს გარკვეული კუთხით ავსებს ბატონი გოჩა თევდორაძე.

ორმაისობაზე ქუთაისის რესტორნები გავსებული იყო სხვადასხვა თანამდებობის პირებით. ჩვენი ბავშვები ვის გაახსენდებოდა!... გოჩა თევდორაძე და მისი მეგობრები კი, როგორც სჩვეულია, ხელდამშვენებული გვეწვივნენ ინკლუზიური სწავლების ცენტრში და ეს დღე მიულოცეს ბუნებისგან დაჩაგრულ ჩვენს შვილებს, პატარა ზეიმად უქციეს.

ბატონი გოჩა ჩვენთან შეხვედრისას ხშირად იმეორებს: ბედნიერი ვარ, რომ ამ ბავშვებთან ურთიერთობა მარგუნა უფალმაო. ეს ჭეშმარიტი მორწმუნის ნათქვამია.

უფალმა ამრავლოს ასეთი ადამიანები მთელ საქართველოში. ასეთი ადამიანების თანადგომით გადავარჩენთ ერთმანეთს. გვეკეთებინოს ღვთიური და მადლიანი საქმეები, რომელიც წინ დახვდება ჩვენს შთამომავლობას. ღმერთმა ნუ ჩაგვიქროს იმედის ნაპერწკალი.

ქუთაისის ინკლუზიური სწავლების ცენტრის უნარშეზღუდულთა მშობლები

გაიხსენებს თუ არა საჩხერელი მილიარდერი ციხის რეკონსტრუქციის ძველ ჩანაფიქრს?

უზარმაზარი რეკრეაციულ-ეთნოგრაფიული კომპლექსი „მოდინახესთან"

საჩხერელ მილიარდერზე ამბობდნენ, რომ მას ჰქონდა საჩხერის სავიზიტო ბარათად აღიარებული „მოდინახეს" ციხის რეკონსტრუქცია-რესტავრაციის ჩანაფიქრი. ივანიშვილს არ განუხორციელებია ინვესტირება „მოდინახეს" რესტავრაციისათვის, მაგრამ რამდენიმე წლის წინ, ზემოთ გამოთქმულის საფუძველზე, ციხის მიდამოების შემოღობვა-მონიშვნები გააკეთა ადგილობრივმა მოსახლეობის ნაწილმა. ამას თავისებური ახსნა აქვს: თუ მეცენატი ბიზნესსაქმიანობას წამოიწყებდა, ის გადაუხდიდა მიწის „მესაკუთრეებს" სოლიდურ თანხას. საბოლოოდ, დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე, „მოდინახე" ერთ-ერთი ყველაზე მოუვლელი ტერიტორიაა იმ ისტორიული ძეგლებიდან, რომლებიც იმერეთში საკმაოდ მრავლადაა.

„მოდინახეს" არ აქვს ისეთი დიდი წარსული, როგორიც შორაპნის თუ გორის ციხეს, მაგრამ მას ზემო იმერეთში (საწერეთლოში) ჰქონდა სტრატეგიული მნიშვნელობა. ადგილობრივი დანიშნულების ციხე, რომელიც რაჭის ერისთავებთან ან აბაშიძეებთან გამოჯიბრებით აშენდა, შეინიღბა სასიყვარულო თქმულებით — თითქოს უციხო წერეთელს ქალს არ ატანდნენ, ვიდრე ციხეს არ ააგებდა. სასიძომ ციხის დასრულების შემდეგ სასიმამროს შეუთვალა: მოდი, ნახე ციხეო.

გასული წლის ბოლოს საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გამოთქვა სურვილი, რომ ჩამოყალიბებულიყო ფონდი „მოდინახე", რომელიც იზრუნებდა საჩხერეში ინფრასტრუქტურულ-ეთნოგრაფიული საკითხების მოგვარებაზე. მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადაწყვეტილებით ჩამოყალიბდა არასამეწარმეო იურიდიული პირი ფონდი „მოდინახე", რომლის რეგისტრაცია ოფიციალურად აპრილში მოხდა.

ამ ფონდის ჩამოყალიბების იდეა ეკუთვნის საჩხერის საკრებულოს თავმჯდომარეს, ინგა ზაბახიძეს. საკრებულოს გადაწყვეტილებით, სუბსიდიის სახით გამოიყო 20 ათასი ლარი, რომლის, დაახლოებით, 50% ფონდის თანამშრომლებზე დაიხარჯება, დანარჩენი კი საოფისე და საპიარო საკითხებზე. ამჟამად ფონდში სულ ოთხი თანამშრომელია: აღმასრულებელი დირექტორი, ორი სპეციალისტი და ბუღალტერი (ფინანსური მენეჯერი). ფონდს უკვე აქვს წლიური სამუშაო გეგმა გაწერილი, რომელსაც პუნქტუალურად ახორციელებენ.

ფონდის აღმასრულებელი დირექტორი **ბაჩო გაფრინდაშვილი** „პოსტსკრიპტუმთან" საუბარში აცხადებს: „დავბეჭდეთ ფლაერები, დავამზადეთ სარეკლამო ბანერი, გავხსენით საბანკო ანგარიში, სადაც თანხის გადარიცხვა შეიძლება საბანკო, სატელეფონო ან სწრაფი გადარიცხვებით. ჯერ ფინანსური გადმორიცხვა არ გაკეთებულა, მაგრამ „ჯორჯიანმანგანეზი" და ადგილობრივი სამშენებლო ქვიშის მომპოვებელი ორგანიზაცია გვპირდება სამშენებლო მასალებით მომარაგებას. ვფიქრობთ, რომ ფონდის ოფიციალური პრეზენტაციის შემდეგ ფინანსური თანადგომის პროცედენტებიც გვექნება. დაგეგმილი გვაქვს პერიოდული გაზეთის გამოშვებაც, რომელიც მინიმუმ 500 ეგზემპლარი დაიბეჭდება ყოველთვიურად. ვეცდებით, რომ მაქსიმალურად ჩავრთოთ მედიასაშუალებები საზოგადოების ინფორმირების საკითხში. ვაპირებთ სარეკლამო რგოლის გადაღებას, რისთვისაც ცნობილ სახეს მოვიწვევთ და სატელევიზიო ეთერში გავუშვებთ."

თუ ვინმე ერთხელ მაინც ასულა ამ ციხეზე, არ დაავიწყდება ის ულამაზესი პანორამა, რომელიც მნახველს თვალწინ ეშლება. მდინარე ყვირილას ხეობა, კავკასიონის ქედის განშტოებები და მიკროკლიმატი ყველას ხიბლავს. შემოქმედი ადამიანისთვის და ტურიზმისათვის უფრო უკეთესი ადგილის მოძებნა, ალბათ, არა მარტო კავკასიაში, არამედ დედამიწაზეც გაჭირდება. გზის დაგება, ციხის აღდგენა მარნით, კარის ეკლესიით, სახრჩობელით, საბაგირო გზის რეაბილიტაცია დაგეგმილია და საკმაო ძალისხმევას ითხოვს.

„უკვე იმ ფერდობის, რომელიც მოუვლელი და ნანგრევებით მოფენილი იყო, გამწვანება დავიწყეთ. სკოლის მოსწავლეების დახმარებით დავრგეთ ფიჭვები, თუმცა მივიღეთ რეკომენდაცია, რომ ფართოფოთლოვანი მეზოფიტებითაც გავანაშენიანოთ აღმოსავლეთის ექსპოზიცია. ვთვლით, რომ ამ ფერდობს სჭირდება შერეული მცენარეული საფარი. ზამთრის პერიოდში მარადმწვანე მცენარეები, ხოლო ზაფხულში ფოთოლცვენიებიც შექმნიან იმ დამასვენებელ ეფექტს, რომელსაც ფიტომასები რომ ქმნის. სულ ბოლოს, სავარაუდოდ, სწრაფი კვების ობიექტსაც გავხსნით ციხის მისადგომთან, საინფორმაციო ცენტრსაც და ატრაქციონსაც. თუ ამ პროექტს განხორციელება უწერია, მაშინ ხელთ დაგვრჩება უზარმაზარი რეკრეაციულ-ეთნოგრაფიული კომპლექსი", — აცხადებენ ფონდის წევრები.

საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულოში აცხადებენ, რომ მალე მოაწყობენ ფონდის პრეზენტაციას, რომლის შემდეგაც, სავარაუდოდ, აქტიური სამუშაოები დაიწყება „მოდინახეს" აღდგენისათვის.

როლანდ ხოჯანაშვილი

ქვირის ჰოროსკოპი

♈ **ვერძი:** დაუფიქრებელი ნაბიჯი შემდგომში სანანებელი გაგიხდებათ, ამიტომ ყოველი თქვენი ნაბიჯი კარგად გათვალეთ და ისე იმოქმედეთ.

♉ **კურო:** რატომ უნდა დაუცადოთ წინადადებას, რომელსაც თქვენ ელოდებით? ასე შეიძლება ძალიან დიდი ხანი მოგიწოთ ლოდინი. თავად გადადგით პირველი ნაბიჯი.

♊ **ტყუპები:** გაეხვევით საკუთარ ამბიციებში, ეცადეთ თავი დააღწიოთ, რადგან არ გამოიწვიოთ გარშემომყოფთა აგრესია. არ მოაწეროთ ხელი არანაირ დოკუმენტს.

♋ **კირჩხიბი:** უკეთესია დაისვენოთ, სამსახურში წარმატებებს არ ელოდოთ. დრო დაუთმეთ საკუთარ თავს, წადით საყიდლებზე და იმიჯი შეიცვალეთ. საყვარელი ადამიანისათვის არ დაგავიწყდეთ საჩუქრის შეძენა.

♌ **ლომი:** საკუთარ შეცდომებზე მოგიწევთ პასუხის გაცემა. მოგიწევთ ახსნა-განმარტების ჩაბარება რომელიმე თქვენს ახლობელთან. თქვენი თხოვნა მოსალოდნელია უპასუხოდ დარჩეს.

♍ **ქალწული:** თუ დაგეგმილი გაქვთ ექიმთან მისვლა, არ გადადოთ მომავლისათვის. მიიღებთ ნამდვილ დიაგნოზს და ადვილად გაართმევთ თავს ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ პრობლემებს. ფულთან ურთიერთობაში წარმატება დაიწყება.

♎ **სასწორი:** დანახარჯი გექნებათ, როგორც დაგეგმილ, ისე დაუგეგმავ საქმეებში. ეცადეთ სითბო გამოავლინოთ საყვარელი ადამიანისადმი, ის ნამდვილად ელოდება ამას თქვენგან. მიაქციეთ ოჯახს ყურადღება.

♏ **მორიელი:** ეცადეთ, მოახდინოთ საკუთარი შესაძლებლობების რეალიზება, ეს კვირა ნამდვილად დაგეხმარებათ ამაში. თქვენ რჩევა-დარიგებას გარშემომყოფები გაიზიარებენ.

♐ **მშვილდოსანი:** დასაწყისში ძალიან საპასუხისმგებლო დავალებას მოგცემენ. მოინდომეთ, გაამართლეთ ხელმძღვანელობის იმედები და შრომა ნამდვილად დაგიფასდებათ. ძველ მეგობრებს ნუ დაივიწყებთ.

♑ **თხის რქა:** ახალ ნაცნობებთან ურთიერთობა თქვენთვის სასურველ შედეგს გამოიღებს. სიფრთხილე გმართებთ მოგზაურობის დროს და საყოფაცხოვრებო ტექნიკასთან ურთიერთობისას.

♒ **მერწყული:** სამომავლოდაც თავგამოდებით იშრომეთ, სხვებსაც გულმოდგინედ მიეხმარეთ და შესანიშნავ შედეგებსაც უთუოდ მიაღწევთ. შემოსავალზე ფიქრს ნუ გადაჰყვებით.

♓ **თევზები:** დაძაბული იქნებით, ხან მოიწყენთ, ხან გამხიარულდებით. შეეცადეთ ემოციებს არ აჰყვეთ.

5	8	4	3	9	1	7	6	2
7	9	6	8	4	2	3	5	1
3	1	2	7	6	5	4	9	8
4	7	5	1	8	9	2	3	6
1	2	3	4	7	6	5	8	9
9	6	8	5	2	3	1	4	7
2	4	7	9	5	8	6	1	3
6	3	9	2	1	4	8	7	5
8	5	1	6	3	7	9	2	4

სატირა(ლი)

ქაიხოსრო იმერეტინსკი

რაფერ დამიჩაგრენ, კაცო, ჩემი ჟურნალისტები!

მოგანატრათ თავი თქვენმა ქაიხოსრომ, ქე ვიცი, მარა მქონდა მიზეზი: მე ვთქვი, ჯერეთ ვაცლი ახალ მთავრობას მუშაობას, მიდღემში კუდში ხვარ ჩავუდგები ყველას თქვა?

ქე მევედი 1 ოქტომბრიდან აქამდე და, რავარც ვრწმუნდები, თქვენი ბებერი ქაიხოსროს შეძახება ამგენსაც ქე ჭირია, აპა! საქვეყნო საქმე უჩემოთ რო არ კეთდება, კიდო ბევრჯელ დაგარწმუნებთ აწინ.

ახლა, ერთ ამბავს მოგიყობით. გასულ კვირას სამეგრელოში ჩევედი ხობის სამონასტრო კომპლექსის გახსნაზე. შვადღის 4 საათისთვის დაპაიჯებული ხალხი კაი 8 საათამდე ველოდით სასულიერო პირებს და მსხვილ-მსხვილ საჯარო მოხელეებს. პარლამენტის თავმჯდომარემ ჟურნალისტებს ვარი უთხრა კომენტარებზე — დრო არ მაქვსო, მარა, იმისთანა ხვავრიელი სუფრა ქონდათ მასპინძლებს გაშლილი, იმგენსაც ხვარ აწყენიებდა და თავისი სტუმრობით დასდო პატივი.

მე პადრუშკი გამიყარა ერთმა საპატიო ხობელმა, შემიყვანა რესტორანში და ქე არ დამხვდენ იქანე უსუფაშვილი, ნარმანია და სხვა დიდკაცები, სიძე-დედოფლისთვის განკუთვნილ საპატიო ადგილზე წამოჭიმულები? მეც იმგენის ახლოს დამაბრძანეს. რათ გინდა! ლუკმა ვერ გოდოუშვი ყელში. რა მაჭმევდა, კაცო, რამეს, ეს ჩემი შორი გზიდან ჩასული, მოშივებული ჟურნალისტები, ჯერ იყო და, დოუპატიჟებლად მისულებად ჩათვალენ და უპრავაჟოთ გოუშვენ რესტორნიდან. მერე შუა გზიდან მოაბრუნეს, ქე დასვეს მაგიდასთან, მარა, ვინცხა კაცმა ცხელ ღომში ჩარჭობილი ჩანგლები უცფათ არ გააყრევინა ხელიდან? — აქანე ჩემი რესურსცენტრის გოგუები უნდა დავაჯინოო. მოკლეთ, ჩემი კანტორის ხალხი დამიტოვენ ასე უპატივცემულოთ.

ჟურნალისტებიც რო ადამიანები არიან და მაგათაც შეიძლება მოშივდეთ, მოწყურდეთ და დეიღალონ, ამის შეხსენება რაფრა ჭირდებათ, კაცო! მარტვა ჩინოვნიკებისთვის უნდა გეეშალათ ამოდენა სუფრა? ან, ამხელა გზაზე რო ჟურნალისტი ჩამოგივა, იმას ინტერვიუ და კომენტარი რაფერ უნდა დაამადლო?

მილოცვა

ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის თანამშრომლებს!

ძვირფასებო! თქვენი ყოფილი მუშაკის — ფოთოლა ბიბილეიშვილის დამწუხრებული ოჯახი გულითადად მოგილოცავთ თქვენს პროფესიულ დღესასწაულს — 18 მაისს. გისურვებთ ჯანმრთელობასა და ყველა ნაფიქრალ-ნაოცნებარის აღსრულებას. თქვენთან არს და მუდამ თქვენთან იქნება უფალი იესო, ამინ!

ნოდარ (გია) ვაშაყმაძე



შეადგინა ალეკო ნემსაძემ

„ჯარისკაცის მამა" მესხიშვილის თეატრში

მას შემდეგ, რაც მეორე მსოფლიო ომზე გადაღებული ქართული ფილმი „ჯარისკაცის მამა" ეკრანებზე გამოვიდა, ათეული წლები გავიდა. დღეს კი ფილმის ფერადი ვერსიის პრემიერა ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის თეატრის დიდ დარბაზში გაიმართა. ფერადი ვერსია 2012 წელს შეიქმნა.

პრემიერას ფილმის რეჟისორი რეზო ჩხეიძე ესწრებოდა. საღამოს მხარდამჭერი ქუთაისის მერია გახლდათ.

პრემიერაზე მოწვეული იყვნენ მეორე მსოფლიო ომის ვეტერანები, კადეტთა კორპუსის კურსანტები, საზოგადო და სახელმწიფო მოხელეები.

„ჯარისკაცის მამის" შემქმნელი, ახალგაზრდა კადეტების მიერ სიმბოლურად შექმნილი დერეფანით, თეატრში ქართული ჰანგებით და აპლოდისმენტებით შეაცილეს.

ორი საათის მანძილზე თეატრის გადაჭედილი დარბაზი სუნთქვაშეკრული ადევნებდა თვალს მრავალჯერ ნანახ ფილმს და ემოციებს ვერ მალავდა.

ავთანდილ სახამბერიძე, მსახიობი: „სათაყვანებელი ფილმი და სათაყვანებელი რეჟისორი! რაც შეეხება სერგო ზაქარიაძეს, ის ჩემთვის არის არტისტის და პიროვნების სიმბოლო. თავისთავად, შავთეთრი ვერსია ძალიან მომწონდა, მაგრამ ერთი სული მქონდა, როდის გამოვიდოდა ფერადი ვერსია. ბედნიერი ვარ, რომ დღეს მოგვეცა საშუალება, ბატონ რეზოსთან ერთად გვენახა ფილმი. უნდა აღვნიშნო, რომ მართლაც კარგი ნამუშევარია."

გუბაზ სანიკიძე, ქუთაისის მაჟორიტარი დეპუტატი: „უკვე მესამე თაობა იზრდება ამ ფილმზე. ვფიქრობ, თამამად შეიძლება ითქვას, რომ მეორე მსოფლიო ომზე მსგავსი ფილმი არ გადაღებულა. ის დიდი საკაცობრიო იდეალები, რაც ფილმში დევს, არის შედევრი ყველა ხალხისა და ყველა დროების. ეს არის ბატონი რეზოს გენიალობა, რომ მის ფილმს დრო და სივრცე არ აქვს."

პრემიერის დასასრულს მაესტრომ თეატრში მისულ საზოგადოებას სიტყვით მიმართა, გულთბილი მიღებისათვის მადლობა გადაუხადა და განვლილი ცხოვრების დეტალები გაიხსენა.

ცნობილი გახდა, რომ უახლოეს მომავალში ეკრანზე გამოვა რეზო ჩხეიძის ცხოვრების შესახებ გადაღებული ფილმი, რომელშიც რეჟისორის ქუთაისში ცხოვრების პერიოდიც მოხვდა.

ნესტან ჩაგელიშვილი

psnews.ge

ვინ არის ფოტოზე?

პასუხი წინა ნომრის ფოტო-ვიქტორინაზე

პარლამენტარი **გივი თარგამაძე** ჩვენმა ერთგულმა მკითხველმა **ნანა ფანცხავამ** ამოიცნო.

რას დაარქმევდით?

ია ფარულავა

დაგვიკავშირდით:

- **(0 431) 24-45-46, 24-82-25.**
- **psnews27@gmail.com**

პასუხი წინა ნომრის ფოტო-ვიქტორინაზე

ელისო ჩაფიძე

ჩვენი ჭკვიანი ელისო ბიძინას სიტყვას ელისო...

ნანა ხუჯაძე

კროსვორდი

თარაზულად: 3. ავტორი, რომელიც ვინაობას მალავს. 5. მცენარის ტანზე მჩხვლეტავი გამონაზარდი. 6. უარყოფის სიტყვა. 8. წილი საქმეში. 9. ფრანგი მომღერალი ... მატიე. 11. საქონლის შემოტანა საზღვარგარეთიდან.

შვეულად: 1. სასმელის ან წყლის ჭურჭელი 2. მე-12 ბერძნული ასო. 3. სახელმწიფო სახელმწიფოს შიგნით. 4. ებრაელთა ქვეყანა. 7. სამხრეთის ცის თანავარსკვლავედი. 10. მდინარე რუსეთში, ოკას შენაკადი.



წინა ნომრის კროსვორდის პასუხები

თარაზულად: 3. ნიკოლოზ. 5. კინტო. 6. ომი. 8. დონ. 9. ოსმან. 11. იაპონია.
შვეულად: 1. სკოტი. 2. ალო. 3. ნაირობი. 4. ზამბარა. 7. ქსანი. 10. სპა.

სუდოკუ

ჩასვით რიცხვები ერთიდან ცხრამდე კვადრატის 9X9 უჯრედებში ისე, რომ თითოეულ რიგში, სვეტში და ცალკე გამოყოფილ კვადრატში 3X3 ყველა რიცხვი იყოს სხვადასხვა და არც ერთი არ გამეორდეს!

						3	2	7
			8	4	1			
6	5	9		2				
	2					8	1	6
	8		2		5		4	
7	1	4					5	
				3		5	9	4
			6	7	2			
8	3	1						